ISSN 0130—1624

ეროვნული ბიბლიოთეკა

19
92



# დროშა

იანვარი
№ 1 1992

566
619.

მიეფერეთ ყოველსა მოყვასსა, ყოვლითა სიყვარულითა, მშვიდობა თქვენდა ქრისტეს მიერ — ამინ!

ახალი აღთქმა


International Year of Peace السنة الدولية للسلام Международный год мира Année internationale de la paix 国际和平年 Año Internacional de la Paz

In recognition of
a significant contribution to
the programme and objectives of
the International Year of Peace,
proclaimed by the United Nations General Assembly,
the Secretary-General designates

*City of Tbilisi*

as a

**Peace Messenger**

Javier Pérez de Cuéllar 15 September 1987

International Year of Peace السنة الدولية للسلام Международный год мира Année internationale de la paix 国际和平年 Año Internacional de la Paz





● რა სჯობს, ან რა უფრო უადგილოა, მშვიდობის მაძიებლობა, თუ ის ირონია — აი, მოვიდა მშვიდობის მაძიებელიო რომ იტყვიან? საიდან მოდიან მშვიდობის მაძიებელნი, გინდა მედროშენი მშვიდობისანი? ქართველი და მშვიდობის მაძიებელიო? — უკვირს თურმე ზოდიერთს, ბატონი ევგენი ღვინიაშვილის გადამკიდეს. აგერ უკვე რვა წელიწადია ჩვენი ცნობილი მხატვრის, ბატონ ემირ ბურჯანაძის მიერ შექმნილ მშვიდობის ცისფერ დროშას რომ აფრიალებს დედამიწის ამ ჩვენი ცოდვით სავსე ერთ მეექვსედზე, და ხან ვის აწერინებს ზედ ხელს და ხან ვის. მშვიდობის საწინააღმდეგო აბა, ვის რა უნდა ჰქონდეს სიტყვაზე, მაგრამ ქართველობა უკვირთ თურმე ჩვენი მშვიდობის მაძიებლისა ზოგიერთებს. არადა, გამარჯვებაო — კაცი რომ მოგესალმება და გამოთხოვებისას — მშვიდობით ბრძანდებოდეო, — გეტყვის, ხომ ცხადია, რომ ამ კაცის ყოველი გამარჯვების მიზანი, უპირველეს ყოვლისა მშვიდობაა? ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა, აქ ბრძანებულს გამარჯვებაო, — ასე ესალმებოდნენ ერთიმეორეს ჩვენი ძველები, პურის საჭმელად რომ დასხდებოდნენ ოჯახში, სტუმართან ერთად, თუ სტუმრის გარეშე. საქართველოს ისტორია სხვა რა არის, თუ არა მშვიდობისათვის ბრძოლა? ეს ბრძოლა ამიტომ არ გვეჩვენება უადგილოდ, ჩვენი დამწვარ-დაბუგული დედაქალაქის მოსახლეობისათვის იმის შეხსენება, რომ მეხუთე წელიწადია უკვე, რაც თბილისს „მშვიდობის დესპანის“ საპატიო სტატუსი აქვს მინიჭებული გაეროს მიერ. დიდია წვლილი ამ საქმეში მშვიდობის მედროშის — ბატონ ევგენი ღვინიაშვილისა და ბატონ ემირ ბურჯანაძის მშვიდობის დროშისა. ჩვენი ქალაქისათვის კი ეს წოდება საპატიოც არის, საპასუხისმგებლოც და ღვთის წინაშე ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ყოველმხრივ იმსახურებს ამას, ყოველთვის იმსახურებდა და მომავალშიც დაიმსახურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლადო ასათიანი

რუსთველის პროსპექტზე სიარული,
ნუ მომიშალოს ღმერთმა,
ვიყო მუდამ ასე მხიარული,
ქართველი პოეტი მერქვას.

პურის ნატეხი და ერთი ლიტრა ღვინო
სიმდიდრედ ჩამითვალეთ,
თუ მეტი ვინატრო, ან ეს ვითაკილო —
ვერ ვნახო სამოთხის მთვარე.

მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს
ქაშვეთის შემოხედვამ.
რუსთველის პროსპექტზე ხეტიალი,
ნუ მომიშალოს ღმერთმა.

გარეკანის პირველ გვერდზე: **მშვიდობის დროშა**. მხატვარი ემირ ბურჯანაძე.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-84-66, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

გადაეცა წარმოებას 10.12.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.01.92. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 21 000. შეკვეთა 2220. ფასი 1 მან. 50 კაპ.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

№ 1 იანვარი (659)
1992

# დროშა

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

შინაარსი:

გივი მაღულარია. ბნელეთი ბნელეთში.

ნუგზარ აფხაზავა. ბრინჯაოს მკვლელი.

ადამ ულამი. სტალინის ჰიპნოზი.

ო. ერმოლიევა. ვიოლინო (მოთხრობა).

ვანო ჩხიკვაძე. საყვარელი (მოთხრობა).

გივი გამრეკელი. რეკორდები, შემთხვევები, წკიპურტები.

ნენსი რეიგანი. წინასწარ ვერ მოემზადები.

გიორგი ხორგუაშვილი. წვიმა მოდის, მასვლებს... (მოთხრობა).

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

აკაკი ბაქრაძე, გულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ვანილ გვეტაძე, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ჭილაძე, ნოდარ ჯაველიძე.

საქართველოს
ე...
ბიბლიოთეკა

გივი მალულარია

# ბნელეთი ბნელეთში

ზნეობა ყოველთვის იყო და იქნება კაცობრიობის განსჯისა და შეფასების საგანი, იმის საზომი, რას უნდა ერქვას სიკეთე და სიქველე და რას სიავე და ბოროტება. ამ საკითხის გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული ადამჟამობის დროიდან სოციალური განვითარების თვალსაზრისით მისაღები და მიუღებელი ქცევის ან მოქმედების შეფასება, მაგრამ რელიგიური მოძღვრების შესუსტებამ, ეროვნულმა ამბიციებმა და პოლიტიკური იდეოლოგიის წარმოშობამ ტრადიციული ზნეობის შემზღუდველი ჩარჩოები დაარღვია, ღმერთს, ბუნებასა და წარსულს დაუპირისპირდა და როცა მიუღწეველი მიზნის მისაღწევად უზომო მსხვერპლი გაიღო და თითქოსდა მეცნიერულად დასაბუთებული, უზადოდ დაგეგმილი შენობა დეფორმირებული, მახინჯი და საცხოვრებლად უვარგისი აღმოჩნდა, ნაძალადევად შეკოწიწებულ-შეთითხნილი სისტემა მთლიანად გაშიშვლდა და მის არსში ჩადებული უზნეობა მთელმა მსოფლიომ დაინახა. ამ დროისათვის, სიკეთეს, კაცთმოყვარეობას, შემწყნარებლობას თავისი ფასი უკვე დაკარგული ჰქონდა, რასაც მძიმე, კატასტროფიული შედეგები მოჰყვა. იმ შენობის აშენებაზე, რომლის დამთავრება ვერაფრით ვერ მოხერხდა, მთლიანად დაიხარჯა როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსები და შინაგანად დაცარიელებული, გატანჯული, უმოწყალოდ მოტყუებული ხალხი ჩიხში აღმოჩნდა, უზომოდ დანაგვიანებულ, ყოველ მხრივ დახშულ, დაწინაურებული მსოფლიოსაგან მოწყვეტილ ჩიხში, სადაც დღის სინათლე არსაიდან არ აღწევდა.

ზნეობისა და სიქველის დეფიციტმა, ცხოვრების დაჩაჩანაკებამ და დადამბლავებამ, ჩიხიდან გამოსავალი გზების ძიებამ თავისთავად დააყენა საკითხი სულიერი ცხოვრების აღდგენისა, განახლებისა და იმ ღირებულებებისაკენ შემობრუნებისა, რომელთა უგულებელყოფა და დაუფასებლობა არა მარტო სახიფათოა, არამედ გამაჩანაგებელიც. ეს თვალნათლივ დაამტკიცა დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულმა უზარმაზარმა საპყრობილემ, სადაც თავდაუზოგავად ებრძოდნენ ინტელექტუალურ და ზნეობრივ პროგრესს. ამგვარმა უგუნურობამ და განუკითხაობამ ხალხი გააველურა, გააბოროტა, ქვეყანა კი დაქცევის პირამდე მიიყვანა. ამიტომ, როცა ამის საშუალება გაჩნდა, დაყრუებული და დაბრმავებული ადამიანები ჯურღმულებიდან დღის სინათლეზე გამოვიდნენ და მოინდომეს თავის ნამდვილი სახელი ეწოდებინათ ყველა იმ საშინელებისათვის, რაც საპყრობილედქცეულ ქვეყანაში ხდებოდა. დაიწყეს წერა მწერლებმა, ისტორიკოსებმა, სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, ზოგმა გაბედულად, ზოგმა შეფარვით, დაეტაკნენ ერთმანეთს ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, გარეთ გამოჟონა მანამდე მთლიანად გასაიდუმლოებულმა ინფორმაციამ, დაზუსტდა ფაქტები, რის შედეგადაც უამრავ დაბრმავებულს აეხილა თვალი. წერდნენ და წერენ როგორც წარსულთან, ასევე თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირებით, ცდილობენ, ახსნა მოუძებნონ ხელისუფლების უზურპაციას, საკონცენტრაციო ბანაკებში ვამეფებულ ძალმომრეობას, ადამიანების სულიერად დაკნინებას, თანამედროვე ტერორიზმს, ნარკომანიას, პროსტიტუციას, უაზრო სისასტიკეს და ადამიანებისადმი აგდებულ, ცინიკურ დამოკიდებულებას. ერთი სიტყვით, მეცნიერები და ინტელექტუალები ცდილობენ, ჩაწვდნენ მოვლენათა არსს, მიაგნონ იმ მიზეზებს, საბჭოთა ადამიანებს რომ სულიერად აცარიელებდა და გონებრივად აჩლუნგებდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ყველაფერი ეს ხდება თეორიულ დონეზე, ალბათობისა და ვარაუდის მოშველიებით, იმაზე მსჯელობით, ადამიანში იმთავითვეა მოცემული სიკეთე და ბოროტება, თუ სიბოროტეს ცხოვრება აჩვევს თავს. ეს საკითხი კაცობრიობის წინაშე ჯერ კიდევ მაშინ დაისვა, როცა კაენმა აბელი მოკლა და მას შემდეგ ვერავის გადაუწყვეტია. ამ საკითხთანავეა დაკავშირებული არჩევის თავისუფლებაც, ბრალეულობის გრძნობაც, იმის გარკვევაც, ღმერთი უგულებელყოფს ადამიანს თუ ადამიანი ღმერთს, ცოდვისა და ბოროტების დიფერენციაციის საჭიროებაც და მრავალი სხვაც.

სიკეთესა და ბოროტებაზე უამრავი აზრია გამოთქმული, უამრავი წიგნია დაწერილი და ხელოვნების თითქმის ყველა ნაწარმოები მათ დაპირისპირებაზეა აგებული. მიუხედავად ამისა, ბოროტება ამ ქვეყნად კი არ კლებულობს, არამედ მატულობს, ჩვენს საპყრობილეში კი მან შემაძრწუნებელ მასშტაბებს მიაღწია და ამიტომ ლირსების, სი-

კეთის, სინდისიერების საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგა, ვიდრე პურისა ჩვენი არსობისა. სიხარბე, ძალადობა, სისასტიკე ისევე დამანგრეველად მოქმედებს ცხოვრების ყველა სფეროზე დღესაც, XX საუკუნის დასასრულს, როგორც რომის იმპერიის რღვევის ჟამს მოქმედებდა. ამ მხრივ ორი ათასი წლის მანძილზე თითქმის არაფერი შეცვლილა. მხოლოდ სიტყვებმა შეიძინეს სხვა შინაარსი და სხვა ტევადობა. ისინი კი, ვინც არც მაშინ ცნობდა და არც დღეს ცნობს სხვათა უფლებებს, ვისთვისაც ძლიერების ნიშანი სუსტთა დაჩაგვრაა. კიდევ უფრო ცინიკურად არღვევენ როგორც ღვთის, ასევე ადამიანების მიერ შექმნილ კანონებს. ამიტომაც ეძებენ დღეს ასე გაფაციცებით ურწმუნოების, ურჯულოებისა და უზნეობისაგან თავის დახსნის საშუალებას. ამიტომაც უბრუნდებიან რელიგიასა და ბიბლიურ ცნებებს. მხოლოდ ესაა, რომ ამ მწვავე საკითხს იშვიათად ეხმაურებიან ისინი, ვინც თავის ტყავზე გამოსცადა მართლაც დიდი, ჯოჯოხეთური ბოროტება, ვისთვისაც ტანჯვაწამება რეალობაა და არა ზოგადი მსჯელობის საგანი. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მათ შორის ცოცხალი ცოტაღა დარჩა, ცოცხლად დარჩენილთა შორის კი ინტელექტუალი ალბათ თითო-ოროლაღაა. მიზეზი შეიძლება სხვაც ბევრი იყოს, მაგრამ თვალში საცემი მაინც ისაა, წარსულზე მეტი კატეგორიულობით ისინი მსჯელობენ, ვისაც ბოროტება თეორიულად აინტერესებს, მაგრამ რა მდიდარი ფანტაზიითაც არ უნდა იყვნენ დაჯილდოვებული, მაინც ვერ შეძლებენ იმის რეალურ შტრიხებში წარმოდგენას, რაც ხელოვნურად შექმნილ ჯოჯოხეთში ხდებოდა, რადგან ადამიანის მიერ შექმნილი გარემო, ღვთის მიერ შექმნილ გარემოზე ბევრად უარესია ყოველთვის. ამიტომაც იგრძნობა მათ წერილებსა და გამოკვლევებში სიმშრალე და სქემატურობა. მართალია, დღეს ბოროტება ცხოვრების ყველა სფეროშია სიკეთეზე მეტად ფეხგადგმული, უფრო ინდივიდუალური და დაუსჯელია, მაგრამ დღევანდელი ბოროტმოქმედების სათავე ის დიდი ბოროტებაა, რომლის მასშტაბები კაცობრიობას ჯერ კიდევ არა აქვს ბოლომდე გათვითცნობიერებული და მიუხედავად იმისა, რომ ეს ბოროტება დღემდე იდუმალების გაურღვეველ ბურუსშია გახვეული, ზოგიერთები მაინც ახერხებენ მის შეფერადება-შელამაზებას და თეორიული წინამძღვრებით გამართლებას.

თუ რამხელა იყო ეს ბოროტება და რა საშინელი, აღმოუფხვრელი დაღი დაასვა როგორც წამებულთ, ასევე მწამებელთ, ამის დანახვა შეიძლება პატიმრისა და ზედამხედველის ურთიერთდამოკიდებულების წარმოჩენით. ეს ურთიერთობა თავის თავად ცხადყოფს, რა შედეგები მოაქვს ადამიანებში სიკეთის ჩაკვლას და ბოროტების აღზევებას. დავიწყოთ თუნდაც იმავე ზნეობით. როგორც კი გადატრიალების შემდეგ ლენინმა ყველას გასაგონად განაცხადა, მიზანი ამართლებს საშუალებას, ანუ ყველაფერი ზნეობრივია, რაც ჩვენს საქმეს წაადგება, ზნეობა თავისი ჩვეულებრივი გაგებით კანონგარეშე გამოცხადდა და სისუსტედ, ინტელიგენტურ გულჩვილობად მოინათლა. ასე მიეცა დასაბამი მტრისადმი, სულ ერთია, რა ჯურისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ფანატიკურ სიძულვილს და უსაზღვრო სისასტიკეს. და რადგან მტერი არსებობდა ყველგან და ყოველთვის, ხოლო თუ არ არსებობდა, მას იგონებდნენ, ამიტომ სიძულვილსა და სისასტიკეს ბოლო არ უჩანდა. ეს სიძულვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ პარტიკულარული ინტერესების გამო, საკაცობრიო ფასეულობებსაც კი აქციეს ზურგი და მათი შენარჩუნებისათვის დასავლეთ ევროპას „დამპალი“ უწოდეს. ზურგი აქციეს არა მარტო საკაცობრიო ფასეულობებს, არამედ ცოდნასაც, განათლებასაც, პროფესიონალიზმსაც და კომპეტენტურობასაც. არაფერი ეს მათ არ სჭირდებოდათ. ქვეყანას განაგებდნენ დამსჯელი ორგანოები, ამ ორგანოებში კი აწინაურებდნენ იმათ, ვინც მეტ გულქვაობასა და შეუბრალებლობას გამოიჩენდა. მათ არ უნდა სცოდნოდათ ავისა და კარგის გარჩევა, არ უნდა ჰქონოდათ სინდისი, არ უნდა გაეგონათ და დაენახათ. იყვნენ თუ არა, მაინც რეგვენები და ყეყეჩები უნდა ყოფილიყვნენ. კაცის კვლა მათთვის ბოროტება კი არ იყო, არამედ გმირობა, მტრის მოსპობა. ვინც მათსავით არ ფიქრობდა, არ იქცეოდა და არ ცხოვრობდა, ის ადამიანად არც ითვლებოდა. ასეთების წინააღმდეგ ყველაფრის გამოყენება შეიძლებოდა — დაპატიმრებისაც, წამებისაც და ძაღლივით მოკვლისაც. ამისათვის პასუხს მათ არავინ თხოვდა. ყველაზე მეტად ზედამხედველები სწორედ ადამიანებზე დაუსჯელად გაბატონებამ და უპასუხისმგებლობამ გააყოყოჩა, გააგულმხეცა და გახრწნა. იმ კატეგორიული მითითებების გამო, ყოველდღე რომ უჩიჩინებდნენ, მათ არა მარტო სძულდათ პატიმრები, არამედ სხვა მოდგმის, სხვა ჯურის ორფეხებადაც კი მიაჩნდათ. პოლიტპატიმარს არ ჰქონდა სახე, გვარი, სქესი. იგი მარტო მუშა საქონელი იყო და მეტი არაფერი. ამიტომ ზედამხედველებიც ისე ექცეოდნენ, როგორც საქონელს. მათ შორის დისტანციაც ისეთი იყო, როგორც ადამიანებსა და არაადამიანებს შორის. როცა ციხიდან, სადაც ერთი წელიწადი დავყავი, გადასახლებაში მივყავდით, დახურული მანქანით სადგურზე გაგვიყვანეს. ისე დასუსტებული ვიყავი, რომ სიარული მიჭირდა, მით უმეტეს გამიჭირდა ვაგონის საფეხურზე ასვლა. იქვე, ვაგონის კართან, ერთი კაპიტანი იდგა, ბადრაგის უფროსი, რომელიც თვლით გვიბარებდა. შავგვრემანი, პირქუში, ბეჭებში მოხრილი უფრო დამსჯელად დაპროგრამებული რობოტი იყო, ვიდრე კაცი. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდულმა გულუბრყვილობამ მაინც მძლია და ადამიანურად ვთხოვე: „Подтолкни“. ისეთი ზიზღითა და სიძულვილით შემომხედა, თითქოს ქვეწარმავალი ვიყავი და კბილებში გამოსცრა: „Лезь, сволочь“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მისთვის მართლაც არ ვიყავი ადამიანი და ასეთი დამოკიდებულება იყო პატიმრების მიმართ მთელი გზის მანძილზე, რაც ოთხ თვეს გაგრძელდა. არც ერთ „სტოლიპინის“ ვაგონში, არც ერთ ციხეში არ შემხვედრია ზედამხედველი, რომელიც პატიმარს ისე მოქცეოდა, როგორც ცოცხალ, მგრძნობიარე არსებას. ამაში ისიც უშლიდათ ხელს, რომ თითოეული მათგანი ვალდებული იყო უფროსი თუ უმცროსი ამხანაგი მაშინვე დაებეზღებინა, როგორც კი პატიმრის მიმართ მცირეოდენ შემწყნარებლობას გამოიჩენდა. მათ ხრწნიდა არა მარტო განუსაზღვრელი ძალაუფლება, არამედ ერთმანეთისადმი და უფროსებისადმი შიშიც. ამიტომ რაც უფრო დაბალ საფეხურზე იდგა ზედამხედველი, რაც უფრო მეტ დაწოლას განიცდიდა, პატიმრის მიმართაც უფრო შეუბრალებელი იყო. უჩინო ზედამხედველების სისასტიკე ადვილად გადაიზრდებოდა ხოლმე სადიზმში, რადგან უშუალო დამსჯელები სწორედ ისინი იყვნენ. ადამიანის ყოველდღიური წამება მათი ფსიქიკის დეფორმაციას, დამახინჯებას იწვევდა და სხვაგვარად ალბათ ამგვარ სამსახურს დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. სპეციალური დამსჯელები, ანუ ჯალათები ყველა ციხესა და ბანაკში ჰყავდათ. ცემის დროს ხშირად მათი გამხეცება ზღვარს გადადიოდა და მსხვერპლს დიდი ვაივაგლახით ტაცებდნენ ხელიდან. ის პატიმარი კი, რომელიც ცემის დროს არ ყვიროდა და არ ღრიალებდა, თავიდანვე განწირული იყო. ასევე განწირული იყო ისიც, ვინც ხმას არ ჩაიკმენდდა და თავის ბედს არ დაემორჩილებოდა. აღარაფერს ვამბობ შიმშილზე, ყინვაზე, კატორღულ შრომაზე. ადამიანების ჯურღმულებში ჩაკვლა და ჩახოცვა მეთოდურად, შეგნებულად ხდებოდა. ეს პირდაპირ გამოგვიცხადა მიტინგზე ბანაკის უფროსმა, ლეიტენანტმა ყიხარევმა: «Вас сюда привезли для того, чтобы подохнуть». მათ პროფესიულ დონეზე ჰქონდათ შემუშავებული ცხოვრების ჯოჯოხეთად გადაქცევისა და ადამიანების ტოტალურად მოსპობის ფართო გეგმა.

უბედურება ის იყო, ამ ტოტალურ ბოროტმოქმედებას ემსახურებოდა მილიონები, ხოლო თუ მათ დავუმატებთ პროკურატურებისა და სასამართლოების მოხელეებს და ფასიან თუ უფასო საიდუმლო დამსმენლებს, მათი რიცხვი კიდევ რამდენიმე მილიონით გაიზრდება. ყოველ მათგანს ჰქონდა ოჯახი და ჰყავდა შვილები (რაც აქტივში ეთვლებოდათ), უნდოდათ თუ არა, უყვარდათ თუ არა, რადგან შვილები ჰყავდათ, უნდა აღეზარდათ კიდეც. აი, აქ კი მძიმე ამოცანის წინაშე დგებოდნენ, ისეთი დილემის წინაშე, რომლის გადაჭრა პატიოსნებასა და პრინციპულობას მოითხოვდა, რასაც არავინ აპატიებდა. არადა, რა ექნათ, როგორ აღეზარდათ შვილები, ისეთივე ჯალათებად, როგორებიც თვითონ იყვნენ თუ ადამიანებად. ჯალათებად არ ემეტებოდათ, რაც ბუნებრივია, ადამიანებად აღზრდა კი არ შეეძლოთ, უბრალოდ უფლება არ ჰქონდათ. მართლაცდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა აღეზარდა ბავშვი იმ კაცს, რომელმაც არ იცოდა, რა არის ღიმილი, შემწყნარებლობა, სიკეთე, რომელიც ან მთვრალია და უშვერი სიტყვებით იგინება, ანდა სახე გაქვავებული აქვს და „მტრის“ მიმართ ხვალაც ისეთივე სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს, როგორიც გუშინ გამოიჩინა. სიფხიზლე კი ნიშნავდა ადამიანის გვემასა და წამებას. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ, საკუთარი შვილების მიმართაც ისეთივე უპასუხისმგებლობა გამოეჩინათ, როგორსაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის დროს იჩენდნენ და ბავშვების აღზრდა მთლიანად სახელმწიფოსათვის მიენდოთ. თუ რა შედეგი გამოიღო ამგვარმა აღზრდამ, დღეს თითქმის ყველასათვის ნათელია. მომდევნო თაობის ბატონობის დროს უზნეობამ და ცინიზმმა კიდევ უფრო ფართოდ გაიდგა ფესვი ცხოვრებაში.

მაგრამ ტოტალური ტერორისა და გენოციდის შედეგად იხრწნებოდნენ არა მარტო ზედამხედველები, არამედ სრულფასოვნებას პატიმრებიც კარგავდნენ. ფიზიკური წამება იწვევდა აუტანელ ტკივილს, პატიმარი ცდილობდა, ამ ტკივილისათვის როგორმე აერიდებინა თავი და ეს ყოველთვის კაცური ღირსების ხარჯზე ხდებოდა. ქრონიკული შიმშილი და კატორღული შრომა სულიერად აძაბუნებდა, აცარიელებდა, აგულგრილებდა. რას არ იბრალებდნენ საკუთარ თავზე და რას არ აბრალებდნენ ერთმანეთს, ოღონდ ხელმეორედ არ ჩავარდნოდნენ ჯალათებს ხელში. მათ ხელში ჩავარდნა იმიტომ იყო საშინელება, რომ პატიმარს არაფრის უფლება არ ჰქონდა და არავითარი კანონი არ იცავდა. თუმცა პატიმრებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთათვისაც სიცოცხლე მეტისმეტად ტკბილი იყო და თუ მას შეუნარჩუნებდნენ, საიდუმლო დამსმენლობასაც არ თაკილობდნენ. ზოგიერთი ამაზე ზედმეტი ლუკმა-პურისათვისაც მიდიოდა. შიშმა და უნდობლობამ ისინი ისე გათიშა ერთმანეთისაგან, როგორც ზედამხედველები. ციხეებსა და ბანაკებში არ არსებობდა სოლიდარობა, ერთიანობა, თანაგრძნობა. სულიერად გატეხილი, იმედდაკარგული, მბრძანებლის ლუკმას მიჯაჭვული კაცი ისეთივე უპრინციპო და უსულგულო ხდებოდა, როგორც მოძალადე და მწვალებელი. თუმცა ცხოვრებაში რას არ შეხვდები, რას არ გაიგონებ და რას არ დაინახავ? პატიმრებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ცრუმორწმუნეობა, ანუ კომუნისტური იდეებისადმი რწმენა გარედან საპატიმროში შემოიტანეს და ამ სენისაგან არნახულმა უსამართლობამაც კი ვერ განკურნა ისინი. ერთმა არც ისე ხანში შესულმა მოსკოველმა, რომელსაც ოცდახუთი წელი ჰქონდა მისჯილი და სხვებზე ნაკლებად არ ეწამებოდა (ახლა არც მისი გვარი მახსოვს და არც პროფესია), სტალინი ისეთი ცხარე ცრემლებით დაიტირა, როგორითაც ალბათ საკუთარი დედა არ დაუტირებია. ცხარე ცრემლებით სატირალი პატიმრებს სხვაც ბევრი ჰქონდათ. გარეთ მათაც დარჩათ ძვირფასი ადამიანები, ოჯახები, შვილები, თავზარდაცემული, გაუბედურებული ახალგაზრდები, რომელთაც არა თუ ვერ აღზრდიდნენ, ერთ რჩევასაც ვერ მისცემდნენ. ისინი მშობლებს სახელმწიფომ წაართვა და მათი იმავე სულისკვეთებით აღზრდა, როგორც ზედამხედველთა შვილებს ზრდიდა, თვითონვე იკისრა. თუ რა ზნეობის მატარებელი იქნებოდნენ პატიმართა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდილი შვილები, დრომ ესეც ყველას ნათლად დაანახა. ცხადია, აქ გამონაკლისებზე არაა ლაპარაკი. არადა, რაოდენობრივად პატიმართა შვილები ზედამხედველთა შვილებზე თუ ბევრად მეტი არა, ნაკლები არაფრით არ იყვნენ. ერთი სიტყვით, ქვეყნის მოსახლეობა ორად იყო გაყოფილი, დამსჯელებად და დასჯილებად, მათ შორის კი ისეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა, რომ სხვა რამეზე ფიქრის დრო არც ერთ მხარეს რჩებოდა და არც მეორეს, რაც ერთგვარი წონასწორობის დაცვის საშუალებას იძლეოდა. როცა ეს დაპირისპირება მოიხსნა, კომუნისტურ რეჟიმსაც შეერყა საფუძველი.

ხოლო როცა რეჟიმს საფუძველი ერყევა, როცა იწყება ქვეყნის ხრწნა, იხრწნება არა მარტო საზოგადოების ესა თუ ის ფენა, არამედ მთელი საზოგადოება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, კულტურის რა დონეზე დგას თვითონ საზოგადოება, რადგან ძალმომრეობა და ბოროტმოქმედება იქ უფრო ადვილად იკიდებს ფეხს, სადაც სიბნელე, უგუნურობა და ცრუმორწმუნეობაა გაბატონებული. და რომ ეს ასეა, ამის დამადასტურებელ ფაქტებს ჩვენ ყოველ დღე ვხვდებით როგორც ცხოვრებაში, ასევე საბჭოურ პრესაში. საშინელება ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ ისეთ ბოროტმოქმედებებს, ჩვენში რომ აქვს ადგილი, ვერავითარ ახსნას ვერ მოუძებნი და ესეც მემკვიდრეობითი ტვირთია. ავიღოთ თუნდაც რუსული და საერთოდ საბჭოური ულტრაპატრიოტიზმი. განა ის ლოზუნგები და მოწოდებები, რომელთაც ქვებივით ისვრიან, შუასაუკუნოებრივი აზროვნების გამოძახილი არაა, ანდა ის მასიური ფსიქოზი, ის ბრმა სიძულვილი, ბრბოს რომ მიტინგებზე ეუფლება, იმ დროის გადმონაშთი არაა, როცა ჯადოქრებს კოცონზე წვავდნენ და მკრეხელებს პირში ცხელ ტყვიას ასხამდნენ? ბოროტება ხომ ხშირად უსაფუძვლო ამბიციები და სხვათა არცნობაა. საბჭოთა იმპერიაში შემავალ ხალხებს არც საკუთარ ჩამორჩენილობაში მიუძღვით ბრალი და არც იმ ბოროტებაში, უზარმაზარი სახელმწიფო გახრწნამდე და მათხოვრობამდე რომ მიიყვანა, მაგრამ მიუხედავად წარსულის მწვავედ მხილებისა და დეგრადაციის მიზეზების წარმოჩენისა, ირგვლივ არაფერი შეცვლილა. ჯერჯერობით ძველი კერპები კვლავ განაგრძობენ არსებობას. ჯერ არავის არაფერი მოუნანიებია და თავზე ნაცარი არ წაუყრია. ეს კუკუმალობა და სიმხდალე კი საშინელ არეულ-დარეულობასა და კეთილგონიერების უგულებელყოფას იწვევს. არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება ზნეობრივი იყოს ის, რომ უბოროტესი სისტემის ავტორი და მისი ცხოვრებაში გამტარებელი გენიოსად იყოს აღიარებული და მავზოლეუმში იწვეს ხალხის მიერ მოსანახულებლად. არალოგიკური და არაბუნებრივია, როცა ცამდე აგყავთ ის პიროვნება, რომელმაც მილიონობით ადამიანის ცხოვრება ტრაგედიად და ჯოჯოხეთად აქცია, არ შეიძლება გაბოროტებული, გაველურებული ადამიანების უგუნურობა და სიმხეცე გმირობად ითვლებოდეს და მოწინავე იდეების სამოსელში იყოს გახვეული.

ის შენობა რომ არ აშენდებოდა, რომლის ასაშენებლადაც ხალხს სულს ხდიდნენ, ამას სხვებზე ადრე ისინი მიხვდნენ, ვის ხელშიც მთელი სახსრები, ქონება და მასალა იყო თავმოყრილი. ამიტომ ჭკუა იხმარეს, ხალხის თვალის ასახვევად, შენობის აშენება იმავე ენთუზიაზმით განაგრძეს, მაგრამ სახსრებსა და ქონებას წყალში კი აღარ ყრიდნენ, არამედ თვითონ ისაკუთრებდნენ. დაიწყო უპატრონო, ან უფრო სწორედ ხალხისათვის წართმეული ქონების არნახული დატაცება. ამ ძარცვა-გლეჯაში მათ ისიც დაეხმარა, რომ საბჭოთა კავშირში კანონები არასოდეს მოქმედებდა, ხოლო ზნეობა უკუგდებული იყო. დატაცებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, მასში ყველა ჯურის დამნაშავე ელემენტებიც მასშტაბურად ჩაებნენ და ამას რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი არ გამოეწვია და ირგვლივ ქაოსი არ გამეფებულიყო, მძარცველები ერთმანეთს უსიტყვოდ შეუთანხმდნენ, ნუ შემეხები და არც მე შეგეხებიო. ასე იჯიბავდნენ და იჯიბავენ ხალხის ქონებას კორუმპირებული ელემენტებიც, ჩრდილოვანი ეკონომიკის თავკაცებიც და მაფიის წევრებიც. უცხო და მოსაკვეთი მხოლოდ ის იყო, ვინც ამ შეთანხმებას ან დაარღვევდა, ან არ დაემორჩილებოდა. ამან კი დანაშაულის მკვეთრად ზრდა გამოიწვია.

იდეოლოგიური მუხრუჭების შესუსტების შემდეგ საბჭოთა კავშირი მართლაც დაემსგავსა უპატრონო ეკლესიას, რომელსაც ეშმაკები ყოველი მხრიდან შეესიენ. მათი რიცხვი იზრდებოდა გეომეტრიული პროგრესით და ბოლოს შეიქმნა ისეთი პარადოქსალური მდგომარეობა, როცა ქვეყანაში ქურდი უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გასაქურდავი და მძარცველი უფრო მეტი, ვიდრე გასაძარცვავი. ასეთ ქვეყანას კი არსებობა არ შეუძლია და დასაღუპავადაა განწირული. ფულიანმა ხალხმა ესეც წინასწარ იგრძნო, მიხვდა იმასაც, რომ თუ რაიმე არ შეიცვალა, თუ მათი ქონება მათი კანონიერი საკუთრება არ გახდა, შეიძლება წაამწარონ, სისხლად ამოადინონ და დაიწყეს ყვირილი კრიზისზე, რეფორმებზე, საბაზრო ეკონომიკისა და ისეთი საბანკო სისტემის შემოღებაზე, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ „ჭუჭყიანი ფული გარეცხონ“. ასე შვა ბოროტებამ ბოროტება, ასე გადაიზარდა უზნეობა უზნეობაში. ახლა მთავარია ბრძოლა ამ უზნეობასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ აფხაზავა

# ბრინჯაოს მკვლელი

*პროფესორ იასონ მესხარიშვილის ხსოვნას*

ბატონი იასონი მათემატიკოსი იყო, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, უამბიციო და უპრეტენზიო კაცი. თანამდებობები არ აინტერესებდა და არც არასოდეს უძებნია თბილი და რბილი სავარძელი. ერთადერთხელ აცდუნეს და დაითანხმეს მეგობრებმა — კათედრის გამგედ უპირებდნენ არჩევას, მაგრამ უპარტიობამ შეუშალა ხელი და დარჩა ასე, რიგით პროფესორად. თავად არ სწყენია ეს ამბავი, ოდნავადაც არ დასწყვეტია გული. ასედაც ვიცოდით, — უთხრა თავის კეთილმოსურნეებს, — თქვენც რა, მთვარიდან ხომ არ ჩამოფრენილხართ, ხომ უნდა გცოდნოდათ, უპარტიო კაცი კათედრის ხელმძღვანელობას რომ ვერ შეძლებდაო, — ეს თქვა და წამიერმა ღიმილმა გადაუქროლა სახეზე.

მათემატიკა უაღრესად ზუსტი, უმკაცრესად ლოგიკური, გაწონასწორებული და, მაშასადამე, მართალი, სამართლიანი მეცნიერებაა. იმთავითვე მეგონა და ახლაც მტკიცედ მჯერა, რომ თუ ადამიანი დაბადებითვე, სულითა და ხორცითაა მათემატიკოსი, შეუძლებელია, იგი უსამართლო და უპრინციპო პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

ბატონი იასონი კი თხემით ტერფამდე მათემატიკოსი და, მაშასადამე, კაცური კაცი, პრინციპული და სამართლიანი კაცი იყო.

მასზე ვერ იტყოდი, გულგახსნილი და ხალისიანიაო, მაგრამ მისი პირდაპირობისა და სამართლიანობის დამადასტურებელი ერთი შემთხვევა მისივე ნაამბობიდან ვიცი, მეორე ანეკდოტად დადიოდა ინსტიტუტში, მესამის მოწმე კი თავად მე, თქვენი მონა-მორჩილი, გახლავართ.

ახალგაზრდა იასონმა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე სოფლის სკოლას მიაშურა და ორი წელიც არ გასულა, რომ რაიონის საუკეთესო მასწავლებლის სახელი დაიმსახურა. შვიდი თუ რვა წელი იმუშავა იქ და ამ ხნის განმავლობაში არცერთ მის აღზრდილს უმაღლესი სასწავლებლის მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში ოთხიანზე დაბალი ნიშანი არ დაუმსახურებია.

სკოლაში მუშაობის ბოლოსწინა წელს, პირველ სექტემბერს გაკვეთილზე შესულ იასონს მეათე კლასში ახალი მოსწავლე დახვდა. ტანმორჩილი, გამხდარი ბიჭი იყო, ცოტათი კისერმოქცეული, ელამი და ცხვირმოღრეცილი, თანაც — ენაბრგვილი (როგორც მერე გამოირკვა, შალვა რქმეოდა). ასეთი ბავშვები ხშირად თანატოლების დაცინვის საგნად იქცევიან ხოლმე, მაგრამ ამ ბიჭს ელამ თვალებში ისეთი ყურადღება, სერიოზულობა და ინტელექტი ეწერა, რომ არც მის თანაკლასელებს და არც სხვა მოსწავლეებს მისი მისამართით ერთი გამკილდავი სიტყვაც კი არასოდეს დასცდენიათ.

იასონს კარგად ახსოვს — ეს ამბავი პირველი მეოთხედის მიწურულს მოხდა, გეომეტრია-ტრიგონომეტრიის გაკვეთილზე. მასწავლებელმა ახალი საკითხი ახსნა და საილუსტრაციოდ დაფაზე საკმაოდ რთული თეორემის დამტკიცების წერას შეუდგა. ის იყო, პასუხი უნდა გამოეყვანა, რომ ზურგსუკან ხმადაბალი ნათქვამი მოესმა:

— მასწ!

იასონი შებრუნდა, კლასს თვალი მოავლო და მზერა შალვაზე შეაჩერა. ბიჭი წამოდგა.

— არაა სწო-ორი, მასწ! — თქვა გაუბედავად.

მასწავლებელს გაუკვირდა, დაფას გახედა, სტრიქონებს თვალი გაადევნა, ბოლომდე ჩავიდა და ისევ მოსწავლეს მიუბრუნდა.

— რა არ არის სწორი, შალვა? — ჰკითხა ბიჭს.

— არ-რა, სწო-ორი კია, მასწ... მაგრამ... სხვა-ანაირად შე-ეი-ძლება, უფ-ფრო მოკლედ.

— ჰოო? — დაინტერესდა იასონი. — აბა გამოდი, მიჩვენე.

შალვა მეორე დაფასთან მივიდა, მოქცეული კისერი კიდევ უფრო მოექცა, ცარცი აიღო და სწრაფად შეუდგა წერას. ორიოდე წუთში, მართლაც, უმოკლესი გზით მიიღო პასუხი. ცარცი დადო და თითების წმენდას მოჰყვა.

მასწავლებელს ათიოდე წამი დასჭირდა ვითარებაში გასარკვევად. შემდეგ ნაბიჯი გადადგა, თავჩაღუნულ შალვას მხრებზე ხელი მოხვია, მეორე ხელი ნიკაპქვეშ ამოსდო, თავი აუწია და თვალებში ჩახედა.

— ყოჩაღ შენ! — ხმადაბლა, თუმცა კი გასუსული კლასის გასაგონად უთხრა. — შენგან კარგი მათემატიკოსი და, რაც მთავარია, კარგი კაცი, პრინციპული, ნაღდი კაცი დადგება. წადი, დაჯექი, შვილო!..

ახლა ინსტიტუტში მოარულ ანეკდოტს გიამბობთ.

ინსტიტუტს მოცეკვავეთა ანსამბლი არ ჰყავდა, არა და, რესპუბლიკური ოლიმპიადა ახლოვდებოდა. გადაწყდა, ანსამბლი ახალმიღებული სტუდენტებით დაეკომპლექტებინათ. ერთ-ერთმა პრორექტორმა ბატონ იასონს სთხოვა, გაეთვალისწინებინა ინსტიტუტის გასაჭირი და სტუდბილეთის მაძიებელი ექვსი მშვენიერი გოგონასათვის მათემატიკის გამოცდაზე თითო ბალით მაინც აეწია ნიშანი. ბატონმა იასონმა თავი დაუქნია და იმ ექვსი მზეთუნახავისაგან არცერთს ოთხიანზე ნაკლები შეფასება არ მიუღია. მაგრამ იასონმა, ასევე, თითო ბალით აუწია ნიშანი იმ საგამოცდო ჯგუფის ყველა სხვა წევრსაც და ისე გამოვიდა, რომ საბოლოოდ მაინც კონკურსის პრინციპი ამოქმედდა და ინსტიტუტი იმ წელიწადს მოცეკვავეთა ანსამბლის გარეშე დარჩა.

მესამე შემთხვევის მოწმე, აკი ზემოთაც მოგახსენეთ, მე ვიყავი.

იმ დროს სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, რომელსაც სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა ევალებოდა. „შრომები“ დასაბეჭდად მომზადებული იყო, მაგრამ ინსტიტუტს თავისი სტამბა არ გააჩნდა, სამინისტრომაც ქაღალდი დაგვიანებით გამოჰყო და „შრომების“ გამოცემა შეფერხდა. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, დანაშაული ქვედა რგოლს „აჰკიდეს“ და სამინისტროდან რექტორს დაურეკეს, თქვენი სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფის უფროსი საქმეს თავს ვერ ართმევსო.

რექტორმა, რა თქმა უნდა, გამომიძახა.

ვრცელ, ნათელ კაბინეტში უგუნებოდ და უხალისოდ შევედი — ვიცოდი, რა საუბარიც გაიმართებოდა. რექტორის მაგიდასთან მიდგმულ გრძელ მაგიდას ორნი უსხდნენ — ბატონი იასონი და ერთ-ერთი კათედრის უფროსი მასწავლებელი, ცნობილი მოქილიკე და მეფუნაგორიე გერმანე უჯმაჯურიძე.

რექტორმა „შრომების“ გამოცემის დაგვიანების მიზეზი მკითხა. მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემზადებული ვიყავი და ყველაფერი ავუხსენი; ბატონი იასონი ყურადღებით მისმენდა, უჯმაჯურიძემ კი, ბოლო წინადადება დავასრულე თუ არა, რექტორს შესჩივლა:

— აი, ქალბატონო ნინო, ხედავთ? დისერტაცია ამდენი ხანია მზადა მაქვს, „შრომებში" ჩემი ორი სტატიაა შეტანილი და ახლა უნდა ველოდო, საგამომცემლო ჯგუფის უფროსი როდის მოაბამს თავს მათ გამოქვეყნებას! თუ არ შეუძლია, თქვას, ბატონო, და სხვას მოვძებნით, შეუცვლელი ვინაა ამ ქვეყანაზე!

რექტორმა წარბები შეკრა, მაგრამ უჯმაჯურიძისთვის ჩემი თანდასწრებით არაფერი უთქვამს — მე ხომ კანდიდატობის მაძიებელზე გაცილებით უმცროსი ვიყავი.

— მოიფიქრე, როგორ შეიძლება მაქსიმალურად მოკლე ხანში მდგომარეობის გამოსწორება და ხვალ დილით მომახსენე, — მითხრა რექტორმა. — ახლა თავისუფალი ხარ. თქვენც, ბატონო გერმანე.

მე და უჯმაჯურიძე ავდექით და ბატონი იასონიც წამოდგა.

— ჩვენ ხომ საუბარი არ დაგვიმთავრებია, ბატონო იასონ! — შეახსენა რექტორმა.

— მხოლოდ ერთი წუთით დაგტოვებთ, ქალბატონო ნინო, ახლავე შემოვალ, — სთხოვა იასონმა.

კაბინეტის კარი გამოვიხურეთ და მისაღებში გამოვედით. კიდევ კარგი, მდივანი გასული იყო, თორემ ბატონი იასონი, ვიცი, არც მას მოერიდებოდა: გერმანეს მკლავში მარცხენა ხელი ჩაავლო, შემოაბრუნა, მარჯვენით ყურში მისწვდა და კარგა მაგრად აუწია.

— კაცი არ ყოფილხარ შენ, გერმანე! — უთხრა გაფითრებულმა. — ეს ახალგაზრდა შენთან შედარებით ბავშვია, ცხოვრებას ახლა იწყებს, შენ კი რა მაგალითს უჩვენებ? ადამიანს უჭირს და იმის ნაცვლად, რომ მხარში ამოუდგე, დაუნდობლად აჭერ ფეხს! რექტორმა არაფერი გკადრა, იმიტომ, რომ ქალია, მე კი ამ არაკაცობას ვერ გაპატიებ. წადი ახლა, ტუალეტს შეეფარე და ვიდრე ყურის სიწითლე არ გაგივლის, გარეთ არ გამოხვიდე!

შებრუნდა და რექტორის კაბინეტის კარი შეაღო.

ერთ დილით ბატონი იასონი ძალზე აგზნებული შემოვიდა საპროფესოროში. ორნი ვისხედით ვრცელ ოთახში, პროფესორი აკაკი დავითაშვილი და მე. ბატონ იასონს სახეზე კაცის ფერი არ ედო, ტუჩები უცახცახებდა, თითები უკანკალებდა.

— რა იყო, იასონ, მოხდა რამე?! — ჰკითხა შეშფოთებულმა ბატონმა აკაკიმ.

იასონი სკამზე ჩამოჯდა და მომუშტული ხელები მაგიდაზე დააწყო.

— აღარ იტყვი, ადამიანო? — ჩაეძია დავითაშვილი.

იასონმა თავი ასწია, ფანჯრის იქით, ქუჩისპირას მოშრიალე ჭადრებს გახედა.

— იცით, ბიჭებო. ვის ძეგლს მიდგამენ ცხვირწინ?

— ვისას, კაცო? — ისევ ბატონმა აკაკიმ ჰკითხა.

ბატონი იასონი საბურთალოში ცხოვრობდა, ყოფილი პავლოვისა და გურამიშვილის ქუჩების გადაკვეთასთან, მეორე სართულზე. მისი ბინის ფანჯრები გურამიშვილზე გამოდიოდა.

— ორჯონიკიძისას. სერგო ორჯო-ნი-კი-ძის ძეგლს! — დამარცვლით თქვა და თავი ჩაჰკიდა.

— მერე რა მოხდა, შე კაცო? — გაეცინა ბატონ აკაკის. — ქუჩაში დგამენ, ოთახში ხომ არა? გინდა — შეხედე, გინდა — ნუ შეხედავ, შენი ნება არ არის?

იასონმა თავი გადააქნია.

— ეე, შენ ხომ იცი, ჩემო კაკო, რომ აქ სხვანაირი ამბავია!

— კი, ვიცი, მაგრამ...

— ჰოდა... რა გაძლებს აწი იმ ბინაში... გუშინ, თუმცა კი კვირა იყო, მთელ დღეს მუშაობდა ორი ექსკავატორი. ორმო უკვე გათხარეს და კვარცხლბეკის საძირკვლისათვის მოამზადეს. ისე გულდაგულ მუშაობენ, გეგონება, საკუთარი სახლის აშენებისთვის ირჯებიანო... რაღა მაინცდამაინც იქ, კაცო, რაღა მაინცდამაინც ჩემი ბინის ფანჯრების წინ, ა?

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, სულაც ნუ მიაქცევ ყურადღებას, — ხელი აიქნია ბატონმა აკაკიმ და მე მომიბრუნდა. — შენ ალბათ არ იცი, ნოდარ, — იასონს ძველი ანგარიშები აქვს ორჯონიკიძესთან.

— იასონს, ხომ?! — უცებ გაცხარდა ბატონი იასონი. — პირადი ანგარიშები, ხომ?! მარტო პირადი, ხომ?! — და უცებვე ჩაცხრა. სახეზე ხელი ჩამოისვა, სიგარეტი ამოიღო. მე და დავითაშვილმა გაკვირვებით შევხედეთ ერთმანეთს — ბატონი იასონი სიგარეტს არ ეწეოდა. — მომიკიდე ერთი, კაკო, თუ კაცი ხარ.

— იასონ... შენი გულის პატრონისთვის თამბაქო...

— მხამის, ვიცი, — შეაწყვეტინა იასონმა. ნაფაზი დაჰკრა და მომიბრუნდა. — ეს დიდი ხნის ამბავია, ნოდარ. ის ის იყო, წითელმა არმიამ თბილისი აიღო. ოპერის თეატრი ხალხითაა სავსე. სცენაზე ყოფილი ფერშალი, თბილისის დიდი „გამათავისუფლებელი" სერგო დააბრახუნებს ლურსმნით დაჭედილ უხეშ რუსულ ჩექმებს, შემართულ მაუზერს ჰაერში ატრიალებს და გრგვინავს: „აი, ამით, საკუთარი ხელით დავხვრეტ ყველას, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ თუნდაც თითს გაატოკებს!" და ამას ამბობს კაცი, რომლის მეთაურობითაც წითელმა არმიამ მცირე ხნის წინ უამრავი ქართველის სისხლი დაღვარა, წითლად შეღება კოჯორი და ტაბახმელა! ამდენი წელი გავიდა და ის სცენა, ის ჰაერში ათამაშებული მაუზერი თითქმის ყოველღამ მესიზმრება, ნოდარ! კოჯორში ჩემი ორი მეგობარიც დაიღუპა. ისინიც მესიზმრებიან, თითქმის ყოველღამ მესიზმრებიან. სიცოცხლეში ყველაფერი შერჩა რკინის სერგოს, ყველაფერი, მაგრამ ჩემი და ჩემისთანების სიძულვილი, მჯერა, საფლავში მაინც არ მოასვენებს. მაგრამ ძეგლი?! საქართველოსთვის ტანჯული გურამიშვილის სახელობის ქუჩაზე — საქართველოს რენეგატის ძეგლი, ნოდარ?! და მაინცდამაინც ჩემი ფანჯრების წინ, კაცო? ყოველდღიურად უნდა შევავლო თვალი? აუჰ, არა, ძმაო, მე ამას ვერ გავუძლებ! უნდა გადავიდე იმ ბინიდან, უნდა გადავცვალო, ან სულაც სოფელში წავალ... არა, ძმაო, არა!..

ვუყურებდი ბატონ იასონს და ვგრძნობდი, რომ ჩემშიაც, ვისთვისაც სერგო „მგზნებარე რევოლუციონერი" იყო — აკი ასე მასწავლიდნენ წლების განმავლობაში — უკვე დუღდა რაღაც უხილავი არხით გადმოსული ის დაუოკებელი ზიზღი, მთლიანად რომ მოეცვა ბატონი იასონის არსება, მისი სისხლი, ძვალი და ხორცი.

ბატონმა იასონმა ყრუდ ამოჰქედა იმ ფანჯრების დარაბები, რომლებიც მშენებარე ძეგლის მხარეს გამოდიოდა. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, იასონმა ხომ იცოდა, რომ, სადაა, კვარცხლბეკს მოათავსებდნენ და ზედ „რკინის კომისრის" ბრინჯაოს ფიგურას წამოჭიმავდნენ.

ძეგლის გახსნის დღეს ბატონი იასონი მიოკარდის ინფარქტით გარდაიცვალა.

ახლა, როცა გურამიშვილის ქუჩაზე ჩავივლი ორჯონიკიძის ნაძეგლარი ცარიელი კვარცხლბეკის გვერდით და მეორე სართულის ფანჯრებს ავხედავ, გულისტკივილთან შერეულ უცნაურ შვებას ვგრძნობ:

ამდენი წელია, ბატონი იასონი აღარ არის, იმ ფანჯრების დარაბები კი დღესაც ყრუდაა აჭედილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტალინის ჰიპნოზი

**ამერიკელი სოვეტოლოგის თვალსაზრისი**

**პროფესორი ადამ ულამი, აშშ-ის ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსული კვლევის ცენტრის დირექტორი. ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ამერიკელი სოვეტოლოგი. გახმაურებული წიგნის ავტორი — „სტალინი: ადამიანი და მისი ერა“.**

ჩვეულებრივად დიქტატორს ჩვენ ვუწოდებთ ადამიანს, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს თავისი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე და რეალურად — თანაც კანონის შესაბამისადაც — პასუხს არ აგებს არავითარი სხვა ხელისუფლების წინაშე, თუმცა, დაწყებული 30-იანი წლებიდან, სტალინის ძლიერება გაცილებით უფრო განვრცობილი ხდება. არ არსებობდა ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური და კულტურული ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც მის სურვილსა და ახირებას არ დამორჩილებოდა. ძველი ისტორიის არც ერთ დესპოტს, არც ერთ თანამედროვე დიქტატორს არასოდეს ეპყრო ისეთი აბსოლუტური ძალაუფლება, არ შეეძლო იმ ზომამდე გაეკონტროლებინა თავისი ქვეშევრდომები, როგორც იოსებ სტალინს. ძველ დესპოტებს არ გააჩნდათ, მაგალითად, თანამედროვე ტექნიკის ისეთი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურის რადიკალური გარდაქმნა, როგორც ეს სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის ძალდატანებითი კოლექტივიზაციის მიმდინარეობის დროს მოხდა 1929-1934 წლებში. სხვა თანამედროვე დიქტატორების ძალაუფლება ყოველთვის შეზღუდული იყო — იქმნებოდა ეს სამხედროების თუ სხვა რომელიმე პრივილეგირებული ჯგუფის მხრიდან, რომელთა ინტერესების დაუსჯელი უგულვებელყოფა მათ არ შეეძლოთ. 1938 წელს ჰიტლერმა თავიდან მოიცილა ორი მაღალთანამდებობის სამხედრო მოსამსახურე, მაგრამ გენერლებმა უარყვეს ვერმახტის მთავარსარდლის პოსტზე მის მიერ წამოყენებული პირველივე კანდიდატურა, და ჰიტლერი იძულებული გახდა, სხვა არჩევანი გაეკეთებინა. შეადარეთ ეს წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობისა და ოფიცერთა კორპუსის ულმობელ წმენდას 1937 წელს. დაწყებული 1936 წლიდან, ვიდრე სტალინის სიკვდილამდე, თვით იარაღი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა საბჭოთა საზოგადოებაზე მისი ძალმომრეობრივი ხელისუფლება — სახელმწიფო უშიშროების ჯარები — რამდენჯერმე განიცდიდნენ ასეთივე უმოწყალო წმენდას. პერიოდულმა რეპრესიებმა არც ისინი დაინდო, ვისაც ყველაზე უფრო მაღალი პოსტი ეკავა პარტიასა და სახელმწიფოში, ამასთან, ბევრი მისი ხელქვეითი, ბოლომდე ერთგული რჩებოდა ადამიანისა, რომელსაც მათთვის განაჩენი გამოჰქონდა.

არაერთგზის ცდილან აეხსნათ, თუ რამ გახადა შესაძლებელი მსგავსი ტირანიის გაჩენა. ზოგიერთი მეცნიერი პასუხს ნაწილობრივ რევოლუციამდელი რუსეთის ისტორიაში პოულობს: ძალაუფლება ქვეყანაში უხსოვარი დროიდან ავტოკრატიული იყო, მის ხალხს თვითმმართველობის ძალზე მცირე გამოცდილება ჰქონდა — წარმომადგენლობითი ინსტიტუტები მოკლე დროის მანძილზე არსებობდნენ. მართალია, რევოლუციამ დაამხო დიდი ხნის ისტორიის მქონე, მაგრამ უკვე შეტორტმანებული თვითმპყრობელობა, მან ვერ შეძლო დემოკრატიული ზნე-ჩვეულებების დანერგვა. ხელისუფლებაზე თავისი მონოპოლიის წყალობით, კომუნისტური პარტია კოლექტიურ ავტოკრატიად გადაიქცა, რითაც ნიადაგი მოამზადა საიმისოდ, რაც ჯერ პირადი დიქტატურა და შემდეგ კი რაღაც უფრო მეტი — იოსებ სტალინი გახდა. სხვა ისტორიკოსები შესაძლოა სერიოზულად შეედაონ მტკიცებას, რომ სტალინიზმი მათ წარმოუდგენიათ დოგმატიკურ იდეოლოგიად, რომელმაც მიიყვანა ყოვლად ძლიერი სახელმწიფოს შექმნამდე და, მაშასადამე, საფუძველი ჩაუყარა ახალ და უარეს თვითმპყრობელობას.

ამჟამადაც არიან მეცნიერები, რომლებიც სტალინს მეოცე საუკუნის პეტრე დიდად თვლიან, ადამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანად, რომელმაც მიაღწია და, რომელიც თავგამოდებით იცავდა ძალაუფლებას არა თავისთვის, არამედ იმისათვის, რომ იგი გამოეყენებინა სოციალური მშენებლობის ფართო მიზნებისათვის, ისეთად, ვინაც თავისი დიდი ბოროტმოქმედების მიუხედავად, მოახდინა საზოგადოების მოდერნიზება, საშინელ დროს განამტკიცა ქვეყნის ერთიანობა და ომში გამარჯვებამდე მიიყვანა. მათი აზრით, ჩვენ არ უნდა შევაფასოთ ექსტრაორდინალური პიროვნება ჩვეულებრივი მორალის საზომით. ძლიერი ნებისყოფა და სისასტიკე, რაც მათ ზეადამიანური ამოცანების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს, ასეთ პიროვნებებს ხშირად ააცდენს ხოლმე ზნეობრიობის გზას და იძულებულს ხდის შეუბრალებლად იმოქმედონ, ხოლო დროდადრო დანაშაულებრივადაც.

ისტორიკოსმა უნდა ისწავლოს იჭვნეულობაც განმარტებებისადმი, სადაც რთული მოვლენების მარტოოდენ ერთ მიზეზს ხედავენ. ჩვენ უნდა შევეცადოთ ვიპოვოთ გასაღები, რათა ავხსნათ პრობლემა — სტალინი და მისი როლი ისტორიაში, თანამედროვე მონაცემებზე და არა ვიღაცეების ჭეშმარიტების პრეტენზიების მქონე თეორიებზე დაყრდნობით.

ერთი პასუხთაგანი უნდა ვეძიოთ იმის წარმოშობასა და ხასიათის განვითარებაში, როგორც საბოლოო ჯამში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გახდა. თავიდანვე და ვიდრე 1917 წლამდე, ბოლშევიკები მოქმედებდნენ როგორც კონსპირაციული ორგანიზაციის წევრები, რაც გარდაუვალი იყო პოლიტიკური პარტიისათვის, რომელიც თავის ამოცანად თვითმპყრობელობის დამხობას ისახავდა. თებერვლის რევოლუციამდე, სოციალისტური პარტიისათვის ეს აუცილებელი იყო. მაგრამ, საქმე ის არის, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც, ბოლშევიკები არ ჩამოსცილდნენ თავისი არსით კონსპირაციული ხასიათის პოლიტიკურ მოღვაწეობას და გადაწყვეტილებების მიღებას. დასაწყისში, საქმის ასეთი ვითარება, გაუმართლებელი თუ არა, გასაგები მაინც იყო: რევოლუცია და სამოქალაქო ომი ხელს არ უწყობს ღია ბჭობას და დემოკრატიის აყვავებას. მაგრამ, 1921 წლის შემდეგ, კონსპირაციისა და ინტელექტუალური კარჩაკეტილობის ატმოსფერო არამც თუ შესუსტდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად შეაღწია კომუნისტურ პარტიაში.

ხელისუფლებაში სტალინის მოსვლა დაკავშირებული იყო მის უნართან, მოხერხებულად გაეძლიერებინა და გამოეყენებინა კონსპირაციის ეს ატმოსფერო. უკვე პარტიის XII ყრილობაზე, როცა გაისმა ხმები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციას, გენერალურმა მდივანმა მსგავსი მოთხოვნები სასაცილოდ აიგდო. მნიშვნელოვანი და სასწრაფო გადაწყვეტილებები, პოლიტბიუროს უნდა მიელო ათასობით პირველად პარტორგანიზაციებში მათი წინასწარი განხილვის გარეშე. საბჭოთა კავშირის მდგომარეობა მოითხოვდა გადაწყვეტილებების სასწრაფოდ მიღებას: „უნდა გვახსოვდეს, რომ პირობებში, როცა ჩვენ მტრებით ვართ გარშემორტყმული, ყველაფერს წყვეტს ჩვენი მხრიდან უეცარი დარტყმა, მოულოდნელი მანევრი, სისწრაფე“, — თქვა სტალინმა და უნებლიედ გასცა საკუთარი ტაქტიკა როგორც გარეშე მტრების, ისევე ქვეყნის შიგნით სავარაუდო მტრების მიმართ. რამდენადაც ლენინს მუშაობა უკვე აღარ შეეძლო, იმ პირთა წრე, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ძალზე დავიწროვდა. 1925 წლის შემდეგ, იგი სულ უფრო ვიწროვდება, ხოლო 30-იანი წლების შუახნიდან, პოლიტბიუროს გვერდის ავლით, გადაწყვეტილებებს იღებენ ბელადი და ის ცოტანი, რომლებიც მოცემულ მომენტში მის წყალობას იმსახურებენ. დაუფარაობის რა ხარისხი ჰქონდა თავად შინაპარტიულ მუშაობას, ამის კარგი ილუსტრაციაა პარტიულ ყრილობებს შორის ინტერვალების ზრდა: სამი წელი XV და XVI ყრილობებს შორის, შემდეგ ოთხი, ხუთი და ბოლოს, ცამეტი წელი XIX ყრილობამდე! მაგრამ, ეს ფაქტიც კი ვერ ასახავს იმას, თუ რამდენად იყო ჩახშობილი დისკუსიების თავისუფლება, ვინაიდან პარტიული კონგრესები, დაწყებული XIV ყრილობიდან, შეწყდა როგორც პოლიტიკის განსახილველი ფორუმები და გადაიქცა პარტიის ხელმძღვანელობის და განსაკუთრებით კი მისი ბელადის წინაშე სულ უფრო მზარდი თავდადრეკილობის მარტოოდენ საბაბად.

არავის შეუძლია თუნდაც ოდნავი დაჯერებულობით მაინც თქვას, თუ რა ბედი ეწეოდა კომუნისტურ პარტიას, ლენინი რომ 1922 წლის შემდეგაც ხელისუფლებაში დარჩენილიყო, ან ვინმე სხვა, და არა სტალინი, გამხდარიყო მისი ხელმძღვანელი ლენინის შემდეგ. მაგრამ, უდავო ფაქტია, რომ ფორმალურადაც კი სწორედ გენერალური მდივანი უწყობდა ყველაზე უფრო ხელს ყოველივე იმის მოსპობას, რაც შინაპარტიული დემოკრატიიდან დარჩა. სწორედ მან მოუსპო რეალური მნიშვნელობა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს. აქ, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა სფეროში, სტალინიზმის გავლენა კიდევ დიდხანს გრძელდებოდა მისი სიკვდილის შემდეგაც. პარტიული ყრილობები, სულ ბოლო წლებამდეც კი, ვერ შეიძენენ სადისკუსიო ყრილობების ადრინდელ ხასიათს, ესე იგი 1925 წლამდე მოწვეული ყრილობების ხასიათს.

მაგრამ, არც პარტიის ზრდის შეჩერება, არც პლურალიზმის მიმართულებით მისი განვითარების ყველა შესაძლებლობის მოსპობა, რასაც სტალინი ესოდენ დაჟინებით ახორციელებდა, არ ყოფილა კონსპირაციის შენარჩუნების ყველაზე ცუდი შედეგი. უკვე 1923 წელს, იგი ცდილობდა გადაექცია ის, რასაც — საღი აზრის თვალსაზრისით — შეიძლება უწოდო ნორმალური პოლიტიკური სიფხიზლე, საიდუმლოებისა და ეჭვიანობის ნამდვილ კულტად. წლების მანძილზე ეს კულტი ისეთივე ყოვლისმომცველი აღმოჩნდა, როგორც პიროვნების კულტი, ხოლო ხშირ შემთხვევაში ან კიდევ უფრო მეტად დამღუპველიც მორალისა და მთელი ერის კეთილდღეობისათვის. 30-იანი წლების ბოლოს, ხოლო მერე ისევ ომის შემდეგ, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებამ ამის წყალობით რაღაცნაირი ფანტასმაგორიული და სურეალისტური ხასიათი მიიღო. გონიერი ქალები და კაცები იძულებულნი იყვნენ, სინამდვილე აღექვათ როგორც „მოღალატეების“, „მავნებლების“ და „ექიმი-მკვლელების“ გამუდმებული შაბაში, სადაც ოფიციალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრა — იქნებოდა ეს პოლიტიკაში, მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში, აღიქმებოდა როგორც ვერაგული ძალების გამოვლენა, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებაში მოქმედებდნენ.

და ისინი, ვინც ამაზე პასუხს აგებდა, „ხალხის მტრები“ იყვნენ და უნდა დასჯილიყვნენ. ეჭვიანობის კულტს გარდაუვლად მიჰყავდა ტერორთან, რომელმაც, ითხოვდა რა მილიონობით მსხვერპლს, შეარყია ნაციის არა მარტო ფიზიკური, არამედ აგრეთვე მორალური ძლიერება. მიყენებული ზიანი კიდევ უფრო მეტი იყო, რამდენადაც — იმისაგან განსხვავებით, როგორც ხშირად ფიქრობენ დასავლეთში, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო ხელმძღვანელის მიერ ხალხის უბრალო ჩაგვრა. საბჭოთა საზოგადოებაში სტალინმა ისეთი სათესური დათესა, რომ იგი ყველგან ეჭვის ვირუსმა მოიცვა და ეს ძალუმად კვლავ მას დაუბრუნდა: ადამიანები ისწრაფოდნენ ეპოვნათ ღალატი და ხედავდნენ მას ყველაზე უვნებელ საქციელში, აბეზღებდნენ ახლობლებს, როგორც მტრებს და მოღალატეებს.

ასეთი გაგებით სტალინიზმი 1953 წლის 5 მარტის შემდეგაც განაგრძობდა სიცოცხლეს. მხოლოდ პარტიის XX და XXII ყრილობაზე სტალინის მხილების შემდეგ დაიწყო კულტის მიერ შობილი მითებისა და შიშის გაფანტვის მტკივნეული, მაგრამ გამაჯანსაღებელი პროცესი და მხოლოდ ჩვენს დღეებში გვტოვებენ ისინი საბოლოოდ. და ამ კულტის მხილებასთან ერთად, საჯაროობა დაგვეხმარა განვთავისუფლებულიყავით საიდუმლოებებისა და კონსპირაციის იმ ატმოსფეროსაგან, რომელიც ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში ერტყა გარს საბჭოთა პოლიტიკას და, რომელმაც აპოგეას სტალინის დროს მიაღწია.

ჰქონდა თუ არა თავად სტალინს მიდრეკილება შიშისა და ეჭვის იმ კომპლექსისადმი, რომელიც მან დანერგა თავისი თანამემამულეების გონებაში? თანამედროვეთა უმეტეს მოგონებებში ხაზგასმულია მისი უჩვეულო ეჭვიანობა. როდესაც დასავლეთელი ავტორები ცდილობენ ახსნან თავისი უაზრობით შემაძრწუნებელი 1936-1939 წლების ტერორი, ისინი მთავარი დამნაშავის მიმართ ყოყმანის გარეშე იყენებენ ტერმინს „პარანოია". მაგრამ სტალინის ბუნებისათვის დამახასიათებელი, ამასთან წლების მანძილზე კონსპირაციული არსებობით, გადასახლებებითა და ციხეებით გაძლიერებული, ეჭვიანობის აღიარების შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია, მიუხედავად ამისა ახსნა მისი ბოროტმოქმედებები ან იპოვო მათი გამართლება ფსიქიკის უცნაურობებსა და პათოლოგიურ მერყეობაში.

ყოველივე, რაც ჩვენ ახლა ვიცით, როცა მისაწვდომი გახდა ცნობები იმ ტრაგიკული წლების შესახებ, ადასტურებს თეზისს, რომ სტალინისათვის რეპრესიები იყო სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მისეული ხელოვნების არსებითი კომპონენტი. მისი აზრით, მასობრივი რეპრესიები იყო ქმედითი საშუალება, რათა ქვეყანაში მიღწეული ყოფილიყო ქვეშევრდომთა ბრმა გამგონობა და საზოგადოების მორჩილებაში ყოლა. ამიტომ არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, იყვნენ თუ არა რეპრესირებულები ნამდვილად დამნაშავენი.

საზოგადოებრივი შეგნების პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მანიპულირების ოსტატობის წყალობით, სტალინის სახელთან დაკავშირებული აღმოჩნდა ეპოქის გრანდიოზული პრობლემების გადაწყვეტა. ჩვენ დროში არავის შეუძლია დიდხანს მართოს მარტოოდენ შიშის დახმარებით, და სტალინის — მმართველის — კარიერა ვერ იქნებოდა ხანგრძლივი, ადამიანებს რომ მასში მარტოოდენ „მრისხანე სული" დაენახათ და არა სისხლით და ხორცით ადამიანი, რომელიც სოციალური მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტას ხელმძღვანელობდა, ის, რომელმაც აგრარული ქვეყანა მოკლე დროში გარდაქმნა უდიდეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. როცა სტალინი გენერალური მდივანი გახდა, საბჭოთა სახელმწიფოს მსოფლიოში მეორეხარისხოვანი პოზიციები ეკავა, და ქვეყნების უმრავლესობა გაურბოდა მასთან საქმის დაჭერას. როცა იგი მოკვდა, სსრ კავშირი ორიდან ერთი ზესახელმწიფო იყო და მისი გავლენა დედამიწის ყოველ კუნჭულში იგრძნობოდა. არ შეიძლება დავაკნინოთ ტანჯვისა და მორალური განადგურების ის გაქანება, რომელიც საბჭოთა ადამიანებს სტალინურმა ეპოქამ მოუტანა. მაგრამ, აგრეთვე აშკარაა, რომ შეუძლებელია გვერდი აუარო იმავე პერიოდში ხალხის უდიდეს მიღწევებს. მაგრამ რამდენად უნდა ვუმადლოდეთ ამ მიღწევებს სტალინს?

ეს საკითხი მუდამ საგონებელში აგდებდა ისტორიკოსებს. წმინდა წყლის დოგმატიზმი იქნებოდა იმის უარყოფა, რომ ნაციის ცხოვრებაში — ისტორიისათვის არაპიროვნული სოციალური და ეკონომიკური მითების მნიშვნელობის მიუხედავად, არის მომენტი, როცა ისინი, ვინც ქვეყანას მართავენ, — და, ცხადია, ლიდერის პიროვნული თვისებები, — გადამწყვეტ როლს ასრულებენ და ამით მორალიზატორობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ გულჩათხრობილი და ვერაგი ხასიათის ადამიანი შესაძლოა ამავე დროს მოკლებული აღმოჩნდეს წარმატებული პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობისათვის აუცილებელ თვისებებს. ზოგიერთ მათგანს სტალინი უთუოდ დიდად ფლობდა — ძალაუფლების წყურვილი, გაბედულება, ენერგია, და ისინი დაეხმარნენ მას დაღუპვას გადაერჩინა 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სახელმწიფოს ხომალდი. ეს თვისებები აგრეთვე დაეხმარა ხალხს აეტანა უბედურება, რომელიც გერმანელთა შემოტევამ მოუტანა, ხოლო 1943 წლის შემდეგ საბჭოთა არმია ბერლინისაკენ გაეყენებია.

მაგრამ, სწორედ აქ იმალება პრობლემის არსი: სტალინის უეჭველმა ნიჭიერებამ გადაარჩინა ორივე შემთხვევაში ხალხი და სახელმწიფო მისივე ბოროტმოქმედებისა და შეცდომების შედეგებისაგან. როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, სტალინის განუსჯელმა და უპასუხისმგებლო პოლიტიკამ ქვეყანა კატასტროფის ზღვრამდე მიიყვანა. მაგრამ, გერმანიასთან ომის თავიდან აცილების შემთხვევაშიც კი, ეს პოლიტიკა მაინც დასტოვებდა თავის კვალს — ადამიანთა სისხლს და ტანჯვას, და ხალხის ცხოვრებაში ეს კიდევ დიდხანს იჩენს თავს მისი შემოქმედის სიკვდილის შემდეგაც.

აჩქარებდა რა კოლექტივიზაციის ტემპებს იმ მიმართულებით, რომელიც კომუნისტური პარტიის მიერ თავდაპირველად დასახულზე გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, და ახორციელებდა რა მას სასტიკი მეთოდებით, რაშიც აგრეთვე შეუცნობლად ვლინდებოდა მისი ტემპერამენტი, სტალინმა 30-იან წლებში ძალზე ახლოს მიიყვანა საბჭოთა კავშირი ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრახამდე. მთავრობის სიმტკიცემ და კოლმეურნეობების ორგანიზაციის იძულებითი სისტემის დროებითმა შეჩერებამ გახადა შესაძლებელი კრიზისის დაძლევა. პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში ბევრად იყო პასუხისმგებელი 1933 წლის შიმშილობისათვის, რომელმაც დააზიანა ისეთი აგრარული ქვეყნის ბევრი რაიონი, როგორიც სსრ კავშირია. ოფიციალური განმარტება უპასუხისმგებლო მოქმედებისა, რამაც ასეთი უბედურება მოუტანა ხალხს, იყო გარეშე საშიშროების წინაშე საბჭოთა კავშირის უსწრაფესი ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობა. მაგრამ, როგორ შეიძლებოდა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა, თუ მისი პოლიტიკა მსხვერპლად იწვევდა მილიონობით ადამიანებს, რომლებსაც, თუნდაც საკითხის მორალური მხრიდან აბსტრაგირების შემთხვევაშიც, შეეძლოთ კია ქვეყნის სამსახურში ყოფილიყვნენ, როგორც მუშები, სალდათები მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში. ამ მიზნისათვის ამორჩეული ფართო მასშტაბისა და სასტიკი სოციალური ექსპერიმენტის

მეთოდები ამოდიოდნენ არა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური პოსტულატებიდან, არა სახელმწიფოს საჭიროებებიდან, არამედ დესპოტის მისწრაფებიდან, განადიდოს თავი თავისი, მისი მოუთმენლობიდან და შეუწყნარებლობიდან, დაუშვას დიქტატისადმი რაიმე ოპოზიცია.

ისეთი გონიერი ადამიანისათვის, როგორიც იყო სტალინი, შესაძლებელია, სწორედ ამ გარემოებით — ადამიანთა უდიდესი მსხვერპლით, რომელიც მან აიძულა მის თანამემამულეებს 30-იან წლებში გაეღოთ — აიხსნება მიუწვდომელი უგულველყოფა დაუჯეროს მრავალრიცხოვან შეტყობინებებს საბჭოთა დაზვერვიდან, აგრეთვე სხვა წყაროებიდან, რომ გერმანია ამზადებს სსრ კავშირზე თავდასხმას. 1941 წლის გაზაფხულის განმავლობაში და შემოჭრის შემდეგ პირველ საათებშიც კი დიქტატორს არ უნდოდა დაეჯერებინა ცნობებისათვის და იმ საბაბით, რომ ამას შეეძლო „ჰიტლერის პროვოცირება“, ნებას არ რთავდა მიეღოთ ეფექტური ზომები უკვე კავშირის ტერიტორიაზე მყოფი მტრის მოგერიებისათვის. ამის ერთადერთი დასაჯერებელი ახსნა შეიძლება იყოს სტალინის შიში, რომ ომი, ან დამარცხებების თუნდაც მცირე პერიოდი მის დასაწყისში დაანგრევენ მითს მისი შეუმცდარობის შესახებ და აიძულებენ ადამიანებს, შეიგნონ მისი მმართველობის მთელი სისასტიკე. ომისათვის ცუდად მომზადებულმა საბჭოთა კავშირმა საბოლოო ჯამში კიდეც რომ გაძლოს და გამარჯვებული გამოვიდეს, გაძლებს კია მითსა და უდიდეს ადამიანურ ტანჯვაზე დამყარებული მისი პირადი ძალაუფლება? და, ამგვარად, ცდილობდა რა, არ ეფიქრა იმაზე, თუ რისი უფრო ეშინია, სტალინმა არჩია, დაეშვა წითელ არმიაზე მოულოდნელი თავდასხმის, თანამედროვეობის ისტორიაში ერთი ყველაზე უფრო გათვალისწინებული აგრესიის აქტი.

1941 წელსაც კი, მას უკანასკნელ წუთამდე არ სჯეროდა, რომ გერმანია სსრ კავშირს დაესხმოდა თავს, თუმცა, ეჭვგარეშეა, უკვე 1936 წლის ბოლოს სტალინი დარწმუნებული იყო მსოფლიო ომის მოახლოებაში. უეჭველია, 1939 წლის გერმანია-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტამდე მას არ ჰქონდა იმედის საფუძველი, რომ იგი სსრ კავშირს არ შეეხება, პირიქით — ჰიტლერის ყველა გამოსვლა ამ ფაქტის დადებამდე, აგრეთვე იაპონიის მხედრიონის მოქმედება, აშკარად მიუთითებდნენ იმის მოსალოდნელობაზე, რომ საბჭოთა კავშირს ორ ფრონტზე ბრძოლა მოუწევს. მით უფრო გასაოცარია, რომ სტალინი ამის შეცნობამ ვერ შეაჩერა საბჭოთა შეიარაღებული ძალების შესუსტებისაგან უმაღლესი სარდლობისა და ოფიცერთა შემადგენლობის 1937 და 1940 წლების რეპრესიებით.

როგორ შეეძლო ადამიანს, რომელიც საქვეყნოდ, დოქტრინორული დარიგებებით ქება-დიდებას ასხამდა საბჭოთა პატრიოტიზმს და რევოლუციამდელ რუსულ სამხედრო ტრადიციებს, ასეთი დარტყმა მიეყენებინა არმიისათვის — ქვეყნის დამცველი ფარისათვის?

ომის პერიოდში ბევრ არმიას არ ჰქონდა ისეთი დანაკარგები ოფიცერთა შემადგენლობაში, როგორც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს მშვიდობიან დროს თავისივე ხელმძღვანელის ხელით. სტალინმა უთუოდ იცოდა, რომ სამარცხვინო ბრალდებები, რომელთა მიხედვითაც იყვნენ დასჯილები უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, აბსოლუტურად ყალბი იყო; და ან როგორ შეეძლო ისეთი მდგომარეობის ადამიანს, ნამდვილად დაეჯერებინა, რომ ოფიცერთა მთელი კორპუსი ღალატმა მოიცვა? ისევ ერთადერთი დასკვნა იბადება — ეს იყო შიში საკუთარი ძალაუფლებისათვის, რომელმაც მის შეგნებაში ქვეყნის უშიშროების ყველა მოსაზრება დაჩრდილა. უმაღლესი სარდლობიდან რეპრესირებულ პირთა შორის იყვნენ ისეთები, როგორიცაა ტუხაჩევსკი — ვისი აზრიც არ ემთხვეოდა სტალინის თვალსაზრისს ან ისინი, ვინც დამოუკიდებელი აზროვნებით აშინებდა მას.

და მართლაც, როცა ომი ატყდა, ქვეყანას ძვირად დაუჯდა ყველაზე ნიჭიერი და გამოცდილი ოფიცრების მასიური მკვლელობა — მარშლებიდან დაწყებული უმცროს ლეიტენანტამდე, რომლებიც თავისი სამშობლოს ნამდვილად ერთგულები იყვნენ. ახლა საყოველთაოდაა აღიარებული, რომ უმეტესწილად ამ მიზეზის გამო, წითელი არმია ომის პირველ წელიწადს უზარმაზარი დანაკარგებით იხევდა უკან. თქმა არ უნდა, აგრესორებისადმი წინააღმდეგობის ორგანიზებითა და შთაგონებით სტალინმა თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. მაგრამ, მისი შემზარავი ეჭვიანობის გამო, გამარჯვების ფასი იმაზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო. სტალინი ქვეყნის სიდიადეზე და ძლიერებაზე ზრუნავდა, მაგრამ უმთავრესად მაშინ, როცა ამას შეეძლო მისი საკუთარი სიდიადისა და ძლიერების განსახიერება. ხალხის ინტერესები მეორე ადგილზე იყო.

იგივეს მტკიცება შეიძლება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისადმი სტალინის დამოკიდებულების შესახებ. მას იგი ისეთივე აბსოლუტური ძალაუფლებით ხელმძღვანელობდა, როგორც თავის თანამოქალაქეებს. პარიზისა და ნიუიორკის კომუნისტებისათვის პიროვნების კულტი ისევე აუცილებელი იყო, როგორც პარტიის წევრებისათვის მოსკოვში ან მინსკში. საზღვარგარეთ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, ამ კულტმა დააზიანა მოძრაობის იდეოლოგიური და ზნეობრივი რესურსები, ვინაიდან შეუძლებელია ერთი კაცის მბრძანებლობასთან ინტერნაციონალიზმის შეთავსება. საზღვარგარეთული კომუნისტების მხრიდან ოდნავი დამოუკიდებლობის ან მსგავსი მოჩვენებითობის მოთმენისადმი სტალინის უცნაურობის ტიპიური მაგალითი იყო 1948 წელს იუგოსლავიისადმი დამოკიდებულებაში მოულოდნელი გარდატეხა. დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიათაგან არც ერთს არ გამოუჩენია მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ საბჭოთა კავშირსა და პირადად სტალინისადმიც კი ისეთი ერთგულება, როგორიც იუგოსლავიის კომპარტიამ გამოიჩინა. არაფრით, გარდა იუგოსლავიის ლიდერის მიერ მოპოვებული ავტორიტეტისა და ძალაუფლებისა, რამაც დიდებისმოყვარული მოხუცი კაცის გაღიზიანება გამოიწვია, არ შეიძლება აიხსნას ორ კომუნისტურ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაწყვეტა და მათი კამათი, რომელმაც ზიანი მოუტანა სსრ კავშირსაც და მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასაც.

როცა მისი პიროვნული გრძნობები არ ილახებოდა, სტალინს შეეძლო ყოფილიყო დახელოვნებული დიპლომატი, რასაც ადასტურებენ ამ სფეროში ისეთი განსაკუთრებულად გამოცდილი ადამიანები, როგორიცაა ჩერჩილი და დე გოლი. მაგრამ, როგორც გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების ისტორია გვიჩვენებს, დიპლომატიის ნამდვილი ხელოვნება უნდა ხელმძღვანელობდეს უფრო მაღალი, ვიდრე ნაციონალური და პირადი ინტერესებია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნაყოფო ხდება ან საწინააღმდეგო



ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგებს იწვევს. იმ დროს (1939 წ. აგვისტო) პაქტი შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო ცნებით „რეალიზმი პოლიტიკაში“ და შეფასებული, როგორც სტალინის მოულოდნელი „ძლიერი სვლა“. მნიშვნელოვანი ტერიტორიების შეძენის გარდა, საბჭოთა კავშირს შეეძლო აეცილებინა კონფლიქტში მონაწილეობა, რომელიც პრეცენდენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ — პირველი მსოფლიო ომით, ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო და, შესაძლებელია უშედეგოც. საბოლოო ჯამში მისი ორივე მთავარი მოქმედი პირი, დიდი ბრიტანეთი — საფრანგეთი, ერთის და ჰიტლერული გერმანია, მეორე მხრით, სისხლისაგან იქნებოდნენ დაცლილი, ხოლო საბჭოთა კავშირს, რომელმაც რამდენიმე მშვიდობიანი განვითარების წლით განიმტკიცა თავისი ძლიერება, შეეძლო ევროპული არბიტრის როლში გამოსულიყო.

ომის პირველივე თვეებმა ყველა ეს გაანგარიშება პირქვე დაამხო. საფრანგეთის სამხედრო პოტენციალის მოულოდნელმა სისუსტემ იგი კაპიტულაციამდე მიიყვანა და ჰიტლერი ევროპის მბრძანებელი გახადა. პაქტის შედეგად მოგებული ორი მშვიდობიანი წელი სსრ კავშირისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, ნაწილობრივ სტალინის მიერ გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომების გამო, იმისათვის რომ, შესაძლებელი ყოფილიყო გერმანიის დარტყმის მოგერიება და ქვეყნის ხსნა ომის სასტიკი ტანჯვისაგან, რომელიც უკვე მის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. სტალინი, რომელმაც ძალზე კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენს ჰიტლერი, უნდა მორიდებოდა ნაცისტურ გერმანიას.

როცა წარსულის ისტორიულ პერსპექტივაში (თითქმის ორმოცდაათი წლით) გადახედავ, გაიგებ, რომ თანამედროვეობის მხოლოდ რამდენიმე მოვლენა თუ აღინიშნა გარდაუვალობის ისეთი ბეჭდით, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი სიტუაცია, რომელსაც ჩვენ „ცივ ომს“ ვუწოდებთ. იგი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, რათა ხალხებს, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებს, შეეგნოთ, რომ თუნდაც ყველაზე შეურიგებელმა იდეოლოგიურმა განსხვავებამაც კი ატომის საუკუნეში არ უნდა დააყენოს მშვიდობა დედამიწაზე საფრთხის წინაშე, რომ არც შეიარაღებული ძალები, არც სამხედრო კავშირები, არც ტერიტორიების დაპყრობა არ შეიძლება იძლეოდეს ნაციონალური უშიშროების გარანტიას.

თუმცა შეუძლებელია მთელი პასუხისმგებლობა 1945 წლის შემდეგ წარმოქმნილი სიტუაციისათვის — „არც ომი, არც მშვიდობა“, მარტოოდენ სტალინს დააკისრო, მისი მმართველობის ბოლო წლების პოლიტიკამ უთუოდ გააღრმავა უფსკრული დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს იყო დასავლეთიდან სსრ კავშირის თითქმის მთლიანი იზოლაციის წლები: კონტაქტები ყოფილ მოკავშირეებთან თითქმის ნულამდე დავიდა. შესაძლოა, იდეოლოგიური „გადამდები სენის“ შიშმა აიძულა სტალინი, რათა თავს მოეხვია საბჭოთა კავშირისათვის ეს იზოლაცია, მაგრამ მთავარი მიზეზი, როგორც ყოველივე დანარჩენში, იყო მისი წუხილი საკუთარი ძალაუფლებისათვის, წარმოუდგენელ ტანჯვასთან ერთად, რომელიც ომმა მოიტანა, მან გარკვეულწილად შეარბილა საშინაო პოლიტიკის სისასტიკე და იგი მასიური რეპრესიებისაგან (გარდა იმ შემთხვევისა, როცა წამოაყენებდნენ დამპყრობლებთან თანამშრომლობის ბრალდებებს) შედარებით შესვენების პერიოდი იყო. მისი დამთავრების შემდეგ, დიქტატორმა გადაწყვიტა, გაეძლიერებინა კონტროლი ქვეყნის შიგნით და ჩაეხშო ხალხის ნებისმიერი უკმაყოფილების გამოვლენა, როცა შეეძლოთ ეფიქრათ, რომ სამხედრო გმირობა და მსხვერპლი უფრო თავისუფალი ცხოვრების უფლებას იძლეოდა. აქედან, მოწოდებები სიფხიზლისაკენ გარეშე მტრების — ამასწინანდელი მოკავშირეების — და სსრ კავშირში მათი შესაძლო აგენტების წინააღმდეგ. როგორც ეს მანამდეც იყო, სიფხიზლის გამოგონილი აუცილებლობა ადვილად მივიდა საიდუმლოების კულტამდე — დესპოტიზმის მთავარ ფსიქოლოგიურ დასაყრდენამდე. საზღვარგარეთიდან რეალური თუ ვითომითი საფრთხე ხშირად გამოიყენებოდა საშინაო რეპრესიების საბაბად, მაგრამ, ხალხის ჩაგვრის მსგავსი საშუალება არსად არ ყოფილა გამოყენებული ისეთ მასშტაბებში, როგორც ეს საბჭოთა კავშირში იოსებ სტალინის დროს იყო.

რამდენადაც საკუთარი ძალაუფლების უსაფრთხოება ყოველთვის იყო დომინირებული იდეა მის შეგნებაში, ბევრი დიქტატორისაგან განსხვავებით, სტალინი ცდილობდა, თავიდან აეცილებინა სამხედრო აქციები, რომლებსაც შეეძლოთ დიდი კონფლიქტების გამოწვევა. რუსეთის ისტორია, რომელსაც იგი ხარბად სწავლობდა, უჩვენებს, რომ ძლევამოსილი ომებიც კი ქვეყანაში უწესრიგობასა და დაძაბულობას იწვევდნენ. მაგრამ, არ იყო რა ომების მოყვარული, სისხლისაგან დაცლილ და დაუძლურებულ საბჭოთა კავშირს იგი დროდადრო ეპყრობოდა როგორც მოთამაშე, დაიწყო რა, მაგალითად, 1948-1949 წ. წ. ბერლინის ბლოკადა, რასაც თავისი ტრაგიკული შედეგებით შეეძლო მიეყვანა კონფრონტაციამდე ამერიკასთან — იმ დროში ატომური იარაღის მფლობელ ერთადერთ ქვეყანასთან. უმეტესწილად ეს გამოწვეული იყო თავისთავზე მისი დიდი წარმოდგენით: იგი დარწმუნდა, რომ ნებისმიერ დროს შეეძლო ევარაუდა, თუ როგორი იქნებოდა მოწინააღმდეგეთა რეაქცია, მოეტყუებინა და დაეშინებინა ისინი, და ამით აერიდებინა მოვლენათა კრიტიკული განვითარება. და მართლაც, მოცემულ შემთხვევაში, მოხერხდა ასეთი საშიშროების თავიდან აცილება, მაგრამ, რამდენი უპასუხისმგებლობა გამოავლინა სტალინმა, როცა ასეთ უზარმაზარ რისკზე მიდიოდა.

ამგვარად, სტალინის ისტორიული ფიგურა, ერთსა და იმავე დროს ბანალურია და რთული. იმ ზომამდე ბანალურია, რომ ადასტურებს ინგლისელი ისტორიკოსის გაცვეთილ აფორიზმს: „აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად ხრწნის“. რთულია, რამდენადაც ეს აფორიზმი მაინც ვერ ხსნის, რატომ შესძლო სტალინმა ისტორიაში უპრეცენდენტო პირადი ძალაუფლების სტრუქტურის შექმნა და ვერც იმას, თუ რატომ მოახდინა მან ჭეშმარიტად მაგიური ზემოქმედება არა მარტო თავის ხალხზე, არამედ საერთაშორისო საზოგადოებაზეც. ეს იყო ჰიპნოზი, რომელიც ხელს უშლიდა ადამიანებს, დაენახათ არა მარტო სტალინიზმისათვის დამახასიათებელი არაადამიანურობა, არამედ პიროვნების კულტის აშკარა აბსურდულობაც. დაახლოებით 15 წლის წინათ ამავე თემას რომ ვეხებოდი, მე ვწერდი: „როცა საბჭოთა ხალხი შეძლებს უკან მოიხედოს თავისი არც თუ შორეული წარსულისაკენ და შეიგნოს, თუ როგორი იყო იგი სინამდვილეში, ეჭვის გარეშეა, ტრაგიკული და გმირული, მაგრამ ბევრ რამეში აბსურდულიც, საღი აზრის საწინააღმდეგო, სტალინიზმის ჰიპნოზს მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო. დღეს, როდესაც საჯაროობა გადაგვიშლის საბჭოთა ისტორიის ყველაზე საიდუმლო და ბუნდოვან გვერდებს, ეს ავი ჯადო საბოლოოდ იფანტება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ო. ერმოლიევა

შემოდგომაა, ჩვეულებრივი შემოდგომაა... შრიალა ფოთოლცვენით, ტყვიისფერი ღრუბლებითა და მოსაწყენი, გაჭიანურებული წვიმით.

ქალაქის ძველისძველი პარკის ხეივანში მაღალი, მოხდენილი ქალი მიაბიჯებს. მის ფეხქვეშ პარკის ბილიკზე დაყრილი მსხვილი ქვიშა ხრაშუნობს.

მოთხრობა

# ვიოლინო

ქალს სიცივისაგან მხრები უცახცახებს, გრძელი, ლამაზი თითებით თავსაფარს ისწორებს. წვიმა და ქარი ძლიერდება, მაგრამ ქალი არ ჩქარობს, ფართო, შავი თვალებით შორს იცქირება. ქარ-წვიმის მორევფოთლებს წვეთები მოაცალა. რტო ნელა დაეშვა მიწაზე.

ქალმა რტო აიღო და დაბერტყა, ფოთლებს წვეთები მოაცილა. რტო მარცხენა ხელისგულზე დაიდო და მარჯვენით მის ნაზ ფოთლებს ფრთხილად მოეფერა, თითქოს ეუბნებოდა: „ნუ წუხართ! აი, გაზაფხული მოვა და ხეზე კვლავ აშრიალდება ფოთლები. ასე იქნება ყოველთვის, ყოველწელს, ასეთია ბუნების კანონი! ადამიანსაც აქვს თავისი წელიწადის დრონი. ეს კია, შემოდგომის შემდეგ კვლავ გაზაფხული აღარ მოდის ხოლმე მასთან“.

ქალს სახე გაუნათდა, იგი თითქოს მთლად გამოიცვალა, მხრები გამართა, თავსაფრის ქვეშიდან ვერცხლისფერი კულულები კვლავ გამოჩნდნენ. ქალმა მხოლოდ რაღაც მისთვის ნაცნობს გაუღიმა, ფერმკრთალი, ლამაზი სახე წვიმას შეუშვირა და პარკის გასასვლელისაკენ მსუბუქი ნაბიჯით გაემართა. მეწამული რტო კვლავ ხელში ეჭირა.

შემოდგომის ასეთივე დღე იყო. წვიმდა. ტყეში ორნი იყვნენ: ქალი და ვაჟი. ისინი ხასხასა ფოთლებს აგროვებდნენ, რომ ზამთარში ფანჯრის ჩარჩოებს შორის ჩაეყარათ. ორივენი მუსიკოსები იყვნენ, სულ ახლახანს დაამთავრეს კონსერვატორია, ერთ ორკესტრში უკრავდნენ. ორ წელს გაგრძელდა მათი ბედნიერება.

შემდეგ ომი დაიწყო. ვაჟი ფრონტზე წავიდა. ქალი თეატრთან ერთად შუა აზიაში იქნა ევაკუირებული. არა, ვაჟი არ დაღუპულა! ომმა მას მარჯვენა ხელი და, რა თქმა უნდა, პაპისაგან მემკვიდრეობით დანატოვარი ვიოლინოც წაართვა.

მან თვითონ გადაწყვიტა ყველაფერი: აღარც ვიოლინო, აღარც ქალი, წარსულს ვერ დააბრუნებ.

ჰოსპიტლიდან იგი გადაბარგდა ახალგაზრდა მედდასთან, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა, როცა სასოწარკვეთილს ჰოსპიტლის მეხუთე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდნა უნდოდა. წლისთავზე ბავშვიც შეეძინათ.

...ქალმა ნაბიჯს აუჩქარა. ქუჩის მოსახვევში კინაღამ ვიღაც მამაკაცს დაეჯახა. მამაკაცმა ზრდილობიანად მოიხადა შლიაპა და მოუბოდიშა. ქალს ზედაც არ შეუხედავს, ისე გასცილდა. ქუდმოხდილი მამაკაცი კიდევ კარგახანს გასცქეროდა ქალს, სანამ იგი დერეფანში არ შევიდა. მამაკაცი აფიშის მრგვალ სვეტთან მივიდა და ქალაქის ფილარმონიის საკონცერტო პროგრამა გადაიკითხა: რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კვლავ დაბრუნდა აფიშის სვეტთან.

...მეორე სართულზე ქალმა ჩანთიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო. სახეზე სახლის სითბო და მასთან ერთად სუნამოს ნაზი სურნელი მიესალბუნა, მას არასოდეს შეუცვლია ერთხელ მისთვის მირთმეული სუნამო.

პალტო გაიხადა და ოთახში შევიდა. შუა ოთახში როიალი იდგა, მასზე — ფაიფურის პატარა ლარნაკი, რომელშიც ნეკერჩხლის რტო ჩადო. შემდეგ ლარნაკი ფანჯრის რაფაზე შემოდგა. მეწამულმა რტომ ოთახს თითქოს სინათლე შემატა.

ქალი ძველებურ კომოდთან მივიდა, გრძელი უჯრა გამოსწია. შიგ ქმრისგან დარჩენილი რამდენიმე პერანგი და ჰალსტუხი იდო. უჯრის სულ ქვედა მხრიდან შავი ტყავის ფუტლიარი ამოიღო და კომოდზე დასდო. სახურავი ახადა. ფუტლიარში ძველი, გაფხეკილი ვიოლინო იდო, არანაკლებ ასი წლისა. იგი ლაქით აღარ ბრწყინავდა: გამქრქალებულიყო — მასზე ხომ მევიოლინეთა სამი თაობა უკრავდა. ახლად არც ხემი გამოიყურებოდა.

ვიოლინოს ქვეშ თეთრი ქაღალდის ნაგლეჯი იდო. ეს იყო მისი უკანასკნელი გზავნილი, მათი დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი: „მაპატიე, მე დამნაშავე ვარ! შენ ძლიერი ხარ, გამიგებ...“

და ქალმაც გაუგო. გაიგო მისი გულისტკივილი, გულისა, რომელიც სამუდამოდ გაშორდა ვიოლინოს, გაუგო მამაკაცის ცხოვრებაში შემოსულ ახალ ცხოვრებას, გაუგო იმ ქალსაც, რომელსაც მამაკაცი შეჰყვარებოდა. მხოლოდ ეს ვერ გაეგო: რატომ თვითონ მას არ გაუგო მამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა





აფიშები კინოფილმებისათვის

## ირაკლი გორდელაძე





ეროვნული ბიბლიოთეკა









ქალაქი რომელს გენახებათ
ყოვლით ქებული,
ხალხით მორთული,
კეკლუც-ნაზი, გალაღებული





ეროვნული ბიბლიოთეკა



გიმრავლოს საქართველომ შვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა? ნუთუ მამაკაცმა შეიბრალა, რომ მისი ტანჯვა არ გაეზიარებინა? მაგრამ ქალმა ხომ შეძლო, ერთგული ყოფილიყო და ამ წლების მანძილზე სხვა არავინ შეეყვარებინა!

ახალგაზრდობა მცირე ხანს გრძელდება. მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ უკვე შენზე ამბობენ: „როგორი ლამაზი იყო!“ ასე თქვეს მასზედაც, ქალიც შეეგუა ამას და ყვავილებსაც კი, რომელთაც კონცერტებზე მის ფერხთა ქვეშ ჰყრიდნენ, იმ წამს შესრულებული ნაწარმოების ავტორ კომპოზიტორისადმი მიძღვნილად თვლიდა.

დღეს იგი მის ვიოლინოზე უკრავდა. ქალს ეჩვენებოდა, რომ ლოყით მის ლოყას ეკვროდა და მელოდიაც საერთო გულიდან ილვრებოდა. ქალი არც იმას უკვირდებოდა, რატომ მაინცდამაინც მისი ვიოლინო აიღო. იქნებ ის წარსული ნეკერჩხლის რტომ შეარხია და ამისკენ უბიძგა.

ქალი მის ვიოლინოს პირველად მაშინ შეეხო, როცა მამაკაცი ფრონტზე წავიდა, მისი ყველა საყვარელი მელოდია დაუკრა.

მისი ვიოლინოს ხმა ევაკუაციის დღითაც გაისმა. ოთახში მეზობლები — თითქმის მთელი სახლის მცხოვრებნი — შემოვიდნენ და ჩაბნელებულ ფანჯრებიან ოთახში მუსიკას დილამდე უსმენდნენ.

შუა აზიაში წერილები იშვიათად მოდიოდა, გზაში დიდხანს ჩერდებოდა, მაგრამ როგორც კი ქაღალდის პატარა სამკუთხედი მის ხელისგულზე აღმოჩნდებოდა, ეს ნამდვილი ზეიმი იყო და ისიც კვლავ ეკვროდა ლოყით მის ვიოლინოს.

დაიწყო გრძელი, მტანჯველი მოლოდინი. თითქმის ორი წლის მანძილზე მისგან არაფერი ისმოდა და აი, ერთხელ, უკვე არა სამკუთხედმა, არამედ სტანდარტულმა კონვერტმა დასწვა ხელები. იმ დროს ყველას თავისი მწუხარება ჰქონდა გადასატანი. ომმა ყველა მეგობარი ქვეყნიერებაზე მიმოფანტა, ვისთვის უნდა შეეჩივლა.

და ქალმა მუშაობა დაიწყო, მუშაობა ორის მაგივრად. მალე აფიშებზე მისი გვარი გამოჩნდა. ომის მერე მშობლიურ ადგილებს მიაშურა. ნანგრევებს შორის სასწაულით გადარჩენილ თავის სახლში დაბრუნდა. და მისმა ვიოლინომ ძველებური კომოდის უჯრის ფსკერზე დაიდო ბინა.

დღეს იგი ბეთჰოვენის „კრეიცერის სონატას“ უკრავდა.

იდგა სცენაზე. შავი აბრეშუმის კაბა ტანზე მჭიდროდ შემოსხლეტოდა, მაღალი ვარცხნილობა შვენოდა. მარჯვენა საფეთქელთან ჭაღარა კულული მოუჩანდა. ქალი მეტად მიმზიდველად გამოიყურებოდა.

უკრავდა ამაღლებულად, ნელა ირწეოდა, მისი ნაზი, მოხდენილი ხელი ხემს ნარნარად ამოძრავებდა სიმებზე.

მელოდია შეწყდა. დარბაზი წამიერად გაირინდა, შემდეგ უცებ აპლოდისმენტების ტალღა მოსკდა. შემსრულებელი რამდენჯერმე გავიდა კულისებში და უკან დაბრუნდა. მოზღვავებული ღელვისაგან ვერავის და ვერაფერს ხედავდა. ყველა სახე თითქოს ერთ მთლიანად ქცეულიყო, მაყურებელი კი კვლავ და კვლავ იწვევდა...

ქალი როიალთან შეჩერდა, აკომპანიატორს თავი დაუქნია და მათი საყვარელი მელოდია, ბრამსის „უნგრული ცეკვა“ დაუკრა.

დარბაზი გაინაბა. ქალი თავდავიწყებით უკრავდა. თითქოს მხოლოდ მისთვის, ერთი კაცისათვის უკრავდა. ვერც კი შენიშნა, როგორ გაწყდა ხემზე თმა და აქეთ-იქით აქანავდა. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ყურებმა წივილი დაუწყეს. ერთ წამს ვერ მიხვდა, რომ ნაწარმოები დამთავრდა, რომ დასაკრავი აღარაფერია და ლოყაზე ვიოლინო მიკრული, დაბნეული იდგა.

პირველი რიგიდან მამაკაცი ადგა, მას სხვებმაც მიბაძეს და დარბაზი კვლავ აპლოდისმენტებში ჩაიძირა. მამაკაცი ტაშს არ უკრავდა: პიჯაკის ცარიელი სახელო ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი. იდგა და მხოლოდ ქალს უცქეროდა. შემდეგ თექვსმეტიოდე წლის ბიჭს მიუბრუნდა და რაღაც უთხრა: ბიჭი რამპას მიუახლოვდა და ქალს თეთრი ვარდი გაუწოდა.

ქალი ჭაბუკს მიუახლოვდა, ცოტათი დაიხარა და ყვავილის გამორთმევისას თვალებში ჩახედა. დიახ... ეს ის არის... მაშინ ისინი ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლობდნენ. ლურჯი, მეტისმეტად ლურჯი თვალები, ხშირი, შეერთებული, შავი წარბები და ჯიუტი, გაჩეჩილი ქოჩორი...

მისგან ორ ნაბიჯზე იდგა ის, ვინც მას სიყვარული მისცა, სიყვარული, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა: მისადმი სიყვარული, სიყვარული ხელოვნებისადმი. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ორ წყვილ თვალში ცრემლმა გაიბრწყინა.

ქალი ჭაბუკისაკენ ერთხელ კიდევ დაიხარა, მის თმებს მიეფერა, ხელებში ვიოლინო ფრთხილად ჩაუდო და სცენიდან სწრაფად გავიდა.

თარგმნა **ჟიულ საამიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე

# საყვარელი

ბედს ერთხელაც სცდის და, გამოვა, არადა, მაგის დედაც ვატირე, ხო არ გადაჰყვება, — ქაჩლიშვილმა მანქანის სარკეში თავისთავი შეათვალიერა და ბლუჯა-ბლუჯად დაყრილი თმა გადაისწორა. გვარი აქვს ეგეთი, თორემ, თმა — იცოცხლე, გარეული ტახი ვერ გაარღვევს... არა, მაინც რა ეშმაკად გადაეყარა. რაიონის საზკვების დირექტორს ქალის შოვნა გაუჭირდება? მაგრამ ამ დედაკაცმა მაინც სხვანაირად გადარია. მთელი შემოდგომაა მირბის და მორბის, დაანგრია ისედაც დაფეხვილი ვილისი.

ჩაუვლის წყვეტილი სიგნალით უშნოდ აწოწილ კორპუსს, ქალი თუ არ გამოიხედავს, მაშინ სასურსათო მაღაზიას მიადგება ხოლმე უკანა მხრიდან, გადაალაჯებს მუყაოს ყუთებზე, ფეხს წამოსდებს ცარიელ ღვინის ბოთლებს, გადასწევს დამოკლებულ, ფერგადასულ ფარდას და აცეცებს თვალებს.





ზოია მფრინავის ცოლია.

შეიძლება ჩვენთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ზოიას თუ ვკითხავთ, ქმრები რაც დიდხანს იქნებიან ცაში, მით უკეთესი...

შევა მაღაზიაში ქაჩლიშვილი, გამხდარ დამლაგებელ დედაკაცს ისე მოიკითხავს, თითქოს ამის სანახავად გამოიარა ამხელა გზა.

საანგარიშოს განზე გასწევს ზოია, დახლზე გადმოყუდებული თვალებს დაუჟუჟუნებს, დაშლის მუხლებში და მორჩა... ჰო, ხანდახან სადმე წაყვანას სთხოვს. ეგ არის და ეგა... ერთადერთხელ აკოცა, ისიც უშნოდ, უგერგილოდ და მაშინაც გადაუხტა მანქანიდან, . თუ ეგეთები დაიწყე, ხმას აღარ გაგცემო.

ქალის მეტი რა უნახავს, მაგრამ ეს მაინც სხვაა, მათრობელა, თეთრი ბურუსი, რომ ჩაგყლაპავს და ჩაგეყლაპინება.

„ეს ერთხელაც და მორჩა", — ქშინავს ქაჩლიშვილი და გვერდით მჯდომ ბიძაშვილს აფრთხილებს, ხელი მოკიდე, ფეხებთან ჩადგმული ათლიტრიანი არ გაგიტყდესო.

ერთი ბიძაშვილი კიდევ უკან უზის. რა ვიცით, კაცნი ვართ, სხვის ჯეჯილში გადასულ ბულას მეტი სიფრთხილე მართებს.

თანაც, ამათ რომ დაინახავს, უფრო გამომყვებაო, დიდ ჩანთაში ხარჯი ჩააწყო და წამოვიდა.

მისცა თუ არა სიგნალი, ზოიამ დაბარებულივით გამოიხედა და ანიშნა, ახლავე ჩამოვალო.

მანქანა თვალს მოაფარა.

ქალი სადარბაზოდან რომ გამოვიდა, ბოლვერა ბიძაშვილი თავის ძმას მოუსვა და ათლიტრიანიც გადააწოდა, მანდ ჩაიდგითო.

მალე ქაჩლიშვილის გვერდით, ზოიას ბარაქიანმა სხეულმა აავსო ჩავარდნილი სავარძელი.

— თქვენ ყურები დახუჭეთ! — ბრძანება გასცა ქაჩლიშვილმა.

ძმებმა ჩაიცინეს და ყურებზე ხელისგულები აიფარეს.

შენი არწივი სად არისო, — ჰკითხა ქმარზე ზოიას.

ცაშია, საარწივო საქმეზეო, — შავი სათვალე მოირგო ქალმა.

ძალიან კარგი... საით წავიდეთო.

სადაც შენ გაგეხარდება, ოღონდ დროულად გამაცილე აქაურობას, ნაცნობს არ გადავეყაროთო.

მანქანა ადგილზევე დაატრიალა და მგლის მუხლი გამოაბა.

სად წაიყვანოს? — დაფიქრდა საქმის ამგვარად შემობრუნებით გახარებული.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ჩამოვიდა ლეკის წყალზე.

გარეთა ბიძა ყავს, ყარამანა, რაც თავი ახსოვს, ცხვარში აგდია, იმას მიადგნენ ბინაზე.

ორი ვეება ნაგაზი ამოებლოტა მანქანას. შემკრთალმა ქალმა ქაჩლიშვილისკენ გაიწია და ამანაც მოხვია მკლავი, ნუ გეშინიაო...

ყარამანამ თითო კეტი უთავაზა და ძაღლები უკმაყოფილო ღრენით სადგომის კედელთან დაეყარნენ.

ჯერ ქაჩლიშვილი გადმოვიდა, ყარამანას ჩაეზდრასტა, სტუმრებს თუ მიგვიღებო, მერე ზოიას გაუღო კარი, ჩამობრძანდიო.

აცურებულმა კაბამ კაპრონშემოტმასნული ჯიშიანი ბარძაყი გამოაჩინა და ყარამანას ყანყრატო შეუთამაშდა.

— ე, ხოხობი სად გიპოვიათ? — ღიმილით პირგახეულმა დაათვალიერა სტუმარი.

— ხოხობი შენი საქმე არ არის. ცოტა ხარჯი წამოვიღე, ბიჭები მოიხმარე, საჩქაროდ სუფრა გაშალე. — გვერდზე გაიყვანა და ჩუმად გააფრთხილა, — იმნაირი არ გეგონოს, ჩემი მფრინავი ამხანაგის ცოლია, ექსკურსიაზე წამომყვა, ბატკანი როგორ იბადება არ მინახავსო...

მარტო დაბადება აინტერესებს თუ შექნაცაო, — ჩაეღიმა ყარამანს.

ამხელა კაცი რას მიედ-მოედები, ბუზი რო აუფრინდეს, ბუზი, ამის ქმარი მთელ ლეკის წყალს დაბომბავს, მე შენ გეტყვი ჭკუა დაუშლის... ცოტას გავატარ-გამოვატარებ და ერთ ნახევარ საათში მზად დაგვხვდითო.

გასაგებიაო, — შუბლთან ხელი მიიტანა ყარამანამ, გადმოყარა ასაკთან შეუფერებლად საღი კბილები და კინკრიხოზე დაკოსებული ქუდი შუბლზე ჩამოიცურა.

მანქანას ძაღლები ყეფით გამოედევნენ...

შორს არ წასულან, ბექს მოეფარნენ თუ არა, მანქანა შეაჩერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ წამოვედით, რას იფიქრებენო, — „შეწუხდა“ ქალი და ხელჩანთა გვერდზე გადადო.

ქაჩლიშვილმა რაღაც ჩაიბურტყუნა. ქალის სავარძელს ხელი მოუფათურა, საზურგე უკან გადავარდა და ორივე თან გადაიყოლა.

ზოია მაინც იბრძოდა, უსხლტებოდა. ზურგში ასობდა წამახულ ფრჩხილებს... ბორგავდა, ქანაობდა, კვნესოდა ძველი, ტენტიანი ვილისი. მერე ერთბაშად დარბილდა, დამყოლი, თვინიერი გახდა, გაავებულ კაცს მოფერებით მოხვია მკლავები, რომ უცებ კარი გაიღო და მაშინვე მიჯახუნდა.

გაცივდა ქაჩლიშვილი, ძლივს მოღრიჯა კიერი.

ფერდობზე ცხვარი ჩამოდიოდა, მანქანიდან ორიოდ ნაბიჯზე, კომბალს დაყრდნობილი ხნიერი მწყემსი იდგა.

— ეგებ პაპიროსი ჰქონდესმეთქი, რო შემოვიხედე და ეგეთი რამე ვნახე, — ბოდიშობდა მწყემსი.

„ოჰ, შენი დედა...“ — ქაჩლიშვილმა პირდაპირ მიუშვა მანქანა.

გულგახეთქილი კაცი განზე გახტა.

თითქოს საფეთქელთან რაღაც გაუწყდა, ერთბაშად გამოიწურა, გამოიფიტა.

მანქანა შეაჩერა.

ზოიამ ტკაცუნით შეისწორა მხარზე ჩამოცურებული ზორტები და ხელჩანთიდან სარკე ამოიღო...

ქაჩლიშვილმა თვალი მოარიდა და საჭეს ჯავრიანად დაჰკრა მუშტი...

ყარამანა და ბიჭები უკვე კარგ ხასიათზე დახვდნენ.

— სადა ხარ, ჯო... ეგ არის ნახევარი საათიო? რაღა არ ვიფიქრეთ. — ბიძამ ვითომ ძალიან შეწუხებულმა გადააქნია თავი, — სადმე რო დაკარგო, მაგის ქმარს რა პასუხს აძლევ, ჩვენ კიდევ დაბომბვა გვინდა, ისედაც გეგმას ვერ ვასრულებთ...

— დაიკარგება და ახლის შოვნა გაუჭირდება თუ რა.

— თუ ეგრეა, უთხარი დაიკარგათქო და დაგვიტოვე, ოთახს მაინც გამოგვიგვის. აგე, გესმის თვითმფრინავის ბღუილი.

— რა ენად გაიკრიფე, აქ სალაპარაკო კურსებზე ხო არა ხარ გამოგზავნილი, გვითხარი რამე! — შეღრინა უხასიათოდ.

— მაშ, ჩვენ რაცა ვთქვით, ჯერ იმაში დაგვეწიეთ.

დაეწივნენ. ზოიამაც დალია და მანქანის ფარებივით აუზრდღვიალდა ლოყები.

რა ყოფილა ეს ყარამანა, აქამდე არ სცნობებია.

გადაიგრიხა ულვაში, დალოცა ზოია, ქალი რო არ იყოს, როგორც მინდორი უყვავილოდ, ეგეთი იქნებოდა ჩვენი ცხოვრებაო...

ალელდა ზოია, იგეთი სადღეგრძელო არავის უთქვამსო, სუნამოიანი ცხვირსახოცით ამოიმშრალა თვალები, გადაჰკოცნა და დააყოლა, მიყვარს თქვენნაირი მოხუცებულებიო.

ვინ არის მოხუციო, იტკიცა ყარამანამ.

თანდათან მოვიდა ხასიათზე, ისევ გაუმთელდა საფეთქელთან გაწყვეტილი ძარღვი, ისევ აივსო დაუოკებელი წყურვილით.

„ოჰ მე იმისი... რა დროს პაპიროსი იყო... თან იქვე რო გაჩერდა... რა ეგონა, მადლობას ვეტყოდი?..“

ყარამანამ — ეხლავე მოვალო.

დაინახა, როგორ აიღო დერეფანში ღუმელზე შემოდგმული წყლიანი ვედრო, ნაჩლიქარებით აჩიჩქნილი ეზო გადაიარა და ფარეხში შევიდა.

თქვენც გადითო, თვალით ანიშნა ბიჭებს.

თითო ვახტანგურს დავლევთ, ზოიასთან და წავალთო, — გათამამდნენ შემთვრალი ბიძაშვილები.

ჯანდაბას თქვენი თავიო.

დალიეს და ზოიამ საცეკვაოდ გაშალა მკლავები.

რაღას იზამდა, მისწი-მოსწია თეფშები და მაგიდაზე თითები აათამაშა.

სადღა წავიდოდნენ, თუ ცეკვაა, ცეკვა იყოსო, ჩაეთამაშნენ, ჩაიყენეს შუაში დაბროწიალებული ქალი და გააქვთ და გამოაქვთ.

— რა ამბავში ხართ! — იკითხა ოთახში შემოსულმა ყარამანამ, — მთელი კახეთი ერთ რუსის დედაკაცს რო დასევიხართ, გაიგებს ამის მფრინავი ქმარი და რაც შახ-აბასმა დაგვაკლო... მაშ ბატკნის მოგება გინდოდა გენახა? წამო, ჩემთან, გოგო! — ჩაჰკიდა ხელი და ზოიაც მორჩილად გაჰყვა.

— სად მიგყავს, კაცო! — წამოეწია ქაჩლიშვილი.

ყარამანამ ძაღლებს დაუძახა, ეს არ გამოუშვათო. ისინიც ყეფით მოცვივდნენ და დერეფნიდან ოთახში ძლივს შემოასწრო.

დატოვა ყარამანამ სამივე პირში ჩალაგამოვლებული, გადაატარა ზოია ეზოზე, შეუძღვა ბატკნების სადგომში. ცოტა ხანში თავი გამოყო, მიიხედ-მოიხედა და მოხურა კარი.

— ეს რა გიყო, კაცო! — სიცილით ჩაბჟირდნენ ბიძაშვილები.

— თქვენ საქმეს მიხედეთ! — დაუტია ორივეს ქაჩლიშვილმა და მაგიდას უფრო გამეტებით დაუშინა თითები.

ისევ დატრიალდნენ ბიჭები, გადაიდინეს ხვითქი, გაბურღეს ცერებით იატაკი.

„ამდენ ხანს რას აკეთებენ, ველარ მოიგო?“ — ცუდად შემოკვნესა გულმა და კარი ფრთხილად გამოაღო, მაგრამ ისევ აიფოფრნენ ძაღლები.

„დაგიქდნენ ეს ოხრები...“

კედელს მიყუდებულმა პაპიროსს მოუკიდა და სადგომის კარიც გაიღო, გაიღო და ორივე განაზებული ნეფე-პატარძალივით გამობრძანდა.

ზოიას ყარამანას დაზეპილ-გაქექილი, ცხვრის სუნად აქოთებული ქურთუკი ჰქონდა მოსხმული და ფეხსაცმელს ჭანჭყობს არიდებდა.

„ვაი შენს კაკოსა“, — ამოიგმინა ქაჩლიშვილმა.

ქალი არ შეაშინონო, ყარამანამ ძაღლები დააფრთხო და დერეფანში შემოვიდნენ.

— ძაან კმაყოფილია, — თვალი ჩაუკრა ქაჩლიშვილს, — ესეთი საყვარელი ბატკნები ჯერ არ მინახავსო... რაც ამან კოცნა და ეფერა...

— ჰოო, არა! — დაუკრაჭუნა კბილები.

— რა გაბრაზებს, ი, ლიოჩიკი შენი ამხანაგია, ჩემი კი არა... დოლობას ნუღარ დაელოდები, კიდევ ჩამოიყვა და თოხლი ჩემზე იყოს, გაიგე?

— მე ვიცი, ვისაც ჩამოგიყვან დამაცა! — დაემუქრა ყარამანას.

ბიძაშვილები უკან დალაგდნენ. ამაღელვებელი გამოთხოვების შემდეგ ზოიამ ქურთუკი პატრონს დაუბრუნა, ისევ აავსო ქაჩლიშვილის გვერდით სავარძელი და ჩანთიდან ამოლაგებული მთელი პარფიუმერია მუხლებზე დაილაგა.

— ზამეჩატელნი ჩელავეკ, — თქვა სარკესჩაჩერებულმა და მიხედა, — კა... კარ... კაკ ეგო ზავუტ?..

კაკ ზავუტო, კაცო, სულ გადირია ქაჩლიშვილი. ჯერ სახელი დაემახსოვრებინა და მერე მაინც გაგორებოდა, თანაც ვის, ამ ცხვრის სუნად აქოთებულს...

„გული მაინც არ აერია?“ — მალულად შეათვალიერა ქალი, მაგრამ ამის მსგავსი ვერაფერი შეატყო, პირიქით, აღილინებული ზოია ფრიად კმაყოფილი სახით ჩასჩერებოდა სარკეს.

„ფუი“, — ამოიქშინა ქაჩლიშვილმა და აქამდე გაჩუმებული ბიჭები ხმამაღლა ახარხარდნენ.

თქვენ რაღა გაცინებთო, მიუბრუნდა და ორივეს ჩააფარა.

ეგეთ ხასიათზე იყო, ამის ქმარს მართლა რომ დაებომბა იქაურობა, წვეთი ცრემლი არ გადმოუვარდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკორდები, შემთხვევები, წვრილმანები



## 25 გამარჯვება ზედიზედ

ერთი საოცარი რეკორდი ეკუთვნის ვილჰელმ სტეინიცს. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი მსოფლიო ჩემპიონის წოდებას მოიპოვებდა, თითქმის 9 წლის მანძილზე, 1878 წლის აგვისტოდან 1882 წლის მაისამდე, მასთან ვერავინ შეძლო ერთი ყაიმის გაკეთებაც კი. სტეინიცმა ზედიზედ 25 გამარჯვება მოიპოვა. მართალია, თანამედროვე მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, 25 პარტიის თამაში ამდენი ხნის განმავლობაში ძალიან ცოტაა — მეცხრამეტე საუკუნეში შეჯიბრებები საკმაოდ იშვიათად იმართებოდა, მაგრამ რეკორდი, რომელიც 100 წელზე მეტი ხნის წინათ დამყარდა, მაინც რეკორდად რჩება. ასეთ ხანგრძლივ პერიოდში უძლეველი მოჭადრაკე ისტორიას არ ახსოვს.

## სამგზის ვაშა

1894 წელს მსოფლიოს პირველი ჩემპიონი, 58 წლის სტეინიცი თავის წოდებას იცავდა ლასკერის წინააღმდეგ. მატჩი 25 წლის ლასკერის გამარჯვებით დამთავრდა.

უკანასკნელი პარტია რომ დათმო, სტეინიცმა წამოიძახა — „სამგზის ვაშა მსოფლიოს ახალ ჩემპიონს!“ სტეინიცმა გულწრფელად აღიარა ახალგაზრდა მოჭადრაკის უპირატესობა, მაგრამ კიდევ მრავალი წელი გავიდა, სანამ ჭადრაკის სამყარომ ახალი ჩემპიონი იცნო. ერთი ჟურნალი, მაგალითად, წერდა: „საჭადრაკო რესპუბლიკა — აი როგორი სახელწოდება შეეფერება ჩვენს სამყაროში შექმნილ მდგომარეობას“.

## მოგებებისა და წაგებების ჯაჭვი

მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო შეჯიბრება იყო დიდოსტატების მატჩ-ტურნირი, რომელიც 1895-96 წლების ზამთარში პეტერბურგში გაიმართა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ იმ დროის ყველაზე უფრო გამოჩენილი მოჭადრაკეები: მსოფლიო ჩემპიონი ემანუილ ლასკერი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი, რუსეთის უძლიერესი მოჭადრაკე მიხეილ ჩიგორინი და ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესი მოჭადრაკე ჰარი ნელსონ პილსბერი.

მეტოქეები ერთმანეთს ექვსი პარტიისაგან შემდგარ მატჩებს ეთამაშებოდნენ და მართლაც უცნაური რამ მოხდა. ლასკერმა დაამარცხა ჩიგორინი, ჩიგორინმა — სტეინიცი, სტეინიცმა — პილსბერი, პილსბერიმ — ლასკერი. შეიკრა მოგებებისა და წაგებების თავისებური ჯაჭვი.

## ლასკერი მთელი ეპოქა

— ლასკერი მთელი ეპოქაა ჭადრაკის ისტორიაში, — წერდა ცნობილი დიდოსტატი და ჟურნალისტი ტარტაკოვერი. — იგი აერთიანებს გრეკოს ფანტაზიას, ფილიდორის ძალას, სტაუნტონის სოლიდურობას, ანდერსენის გაქანებას, მორფის ბრწყინვალებას, სტეინიცის სიღრმეს, ტარაშის მეთოდურობასა და კაპაბლანკას სისადავეს.

## კაპა არ აგებდა

იყო დრო, როდესაც კაპაბლანკამ საერთოდ არ იცოდა, რა იყო დამარცხება. 1916 წლის თებერვლიდან მოყოლებული 1924 წლის მარტამდე მან 63 პარტია ითამაშა და არც ერთხელ არ დამარცხებულა. თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ამ პერიოდში ითამაშა კაპაბლანკამ მატჩი ჰავანაში მსოფლიო ჩემპიონ ემანუილ ლასკერთან, რომელსაც თვით ჰქონდა უძლეველი მოჭადრაკის რეპუტაცია, არ შეიძლება აღფრთოვანება არ გამოითქვას კუბელის მიღწევით.

შემდეგ წლებშიც, როცა კაპაბლანკა, ცოტა არ იყოს ხანში შევიდა, იგი მეტად იშვიათად აგებდა. მისი თითოეული დამარცხება მთელი სენსაცია იყო.



## კაპაბლანკა და ალიოხინი

კაპაბლანკა და ალიოხინი 30 წლის მანძილზე ერთმანეთს 47-ჯერ შეხვდნენ. შედეგი თანაბარია. თითოეულმა მოიგო 7-7 პარტია, 33 კი ყაიმით დამთავრდა.

1909-39 წლებში ალიოხინმა 884 სატურნირო და სამატჩო პარტია ითამაშა. მოიგო 562, ყაიმით დასრულდა 323 და წააგო 99 პარტია.

კაპაბლანკა ალიოხინზე 10 წლით მეტ ხანს თამაშობდა, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლებ ტურნირში მონაწილეობდა. მან სულ 588 სატურნირო და სამატჩო პარტია ითამაშა. აქედან 302 მოიგო, 248 ყაიმით დასრულდა და მხოლოდ 35 პარტია წააგო.

როგორც კაპაბლანკამ, ისე ალიოხინმა ამ პარტიებში შესაძლებლის 78 პროცენტი ქულა მოაგროვეს — აქაც თანაბარი იყვნენ.

ალიოხინი 85-ჯერ გამოვიდა პირველ ადგილზე სხვადასხვა ტურნირში, კაპაბლანკა 22-ჯერ. აქ უნდა გავიმეოროთ, რომ კაპაბლანკა მეტოქეზე გაცილებით ნაკლებს თამაშობდა.

1914 წლიდან 1927 წლამდე კაპაბლანკამ სულ 5 პარტია წააგო, ხოლო 16 საერთაშორისო ტურნირიდან, სადაც ამ პერიოდში მონაწილეობდა, 13-ჯერ გამოვიდა პირველ ადგილზე.

1922 წელს კაპაბლანკამ კლივლენდში (აშშ) ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 103 დაფაზე. 102 პარტია მოიგო და 1 ყაიმით დაამთავრა.

## პირველი ადგილი 15 შეჯიბრებაში

20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში, საყოველთაო აზრით, ალიოხინთან შეუძლებელი იყო ბრძოლა. აი ამის ერთი მაგალითი: 1927 წელს კეჩკემეტის ტურნირიდან მოყოლებული, 6 წლის განმავლობაში, 1933 წლამდე, ჯერ პრეტენდენტი, ხოლო შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი ალიოხინი იმარჯვებდა ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა. ამ პერიოდში ალიოხინმა ითამაშა სულ 15 შეჯიბრებაში (ითვლება მსოფლიო პირველობის მატჩები ჯერ კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაბლანკასთან, შემდეგ კი ბოგოლიუბოვთან). ცხრაჯერ ზედიზედ პირველი ადგილი დაიკავა და საერთოდ მოიგო ყველა დანარჩენი შეჯიბრებაც (ზოგჯერ იგი პირველ ადგილს იყოფდა).

## საათობით ფიქრობდნენ

სანამ საჭადრაკო საათებს გამოიგონებდნენ, საერთაშორისო ტურნირების პარტიებისათვის თვალყურის დევნება მართლაც რომ ჭირი იყო — ზოგი იმდენს ფიქრობდა, რომ გულშემატკივრებს ჩამოეძინებოდათ ხოლმე.

ასეთი „საათობით" ფიქრით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ინგლისელი ოსტატი უილიამსი, ცნობილი გერმანელი მოჭადრაკეები ძმები ლუი და ვილფრიდ პაულსენები.

თავისი დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის ლუი პაულსენის გაუთავებელ ფიქრს ჯერ კიდევ პოლ მორფი უჩიოდა. მის ძმას ვილფრიდ პაულსენს კი ერთხელ ასეთი რამ შეემთხვა: 1858 წელს აახენში ცუკერტორტს ეთამაშებოდა. ვილფრიდი, ჩვეულებისამებრ, ძალიან ჩაფიქრდა. ცუკერტორტი, ჩანს, ამ გარემოებას შეგუებული იყო, სცენიდან დარბაზში ჩავიდა და ერთ მომხიბლავ ახალგაზრდა ქალთან დაიწყო მუსაიფი. პაულსენი თითქოს გაქვავდა, გულდასმით იფიქრებდა მომდევნო სვლას, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, მოიფიქრა (ამასობაში 70 წუთი გავიდა), ლაზიერი დე 1 უჯრიდან იქვე ე-2-ზე გადაადგილა.

ახალგაზრდა ქალმა ცუკერტორტს უთხრა:

— ღმერთო ჩემო, ეს რა სულელური თამაში ყოფილა. ასეთი „ხანგრძლივი" ფიქრი ასეთი „მოკლე" სვლის გაკეთებას დასჭირდა!

## ეს „სვლა" ვერ გაითვალისწინეს

ჯოზეფ ბლეკბერნი იმ მცირერიცხოვან მოჭადრაკეებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ალკოჰოლს სულაც არ მიიჩნევდნენ წარმატებისათვის ხელის შემშლელად. პირიქით...

ერთხელ განთქმული ინგლისელი მოჭადრაკე ერთდროული თამაშის სეანსს მართავდა. ერთმა მეტოქემ მაგიდაზე ვისკით სავსე ჭიქა დადო. როდესაც ბლეკბერნი ამ მაგიდასთან მივიდა, ჯერ ვისკი დალია, ხოლო შემდეგ სვლა გააკეთა. პარტია ძალიან მალე დამთავრდა ბლეკბერნის მოგებით, გამარჯვებულის კომენტარი კი ასეთი იყო:

— დახეთ, რა მოხდა! მეტოქემ ვისკი დაუცველად დასტოვა, ჩემი „შეტევითი კომბინაცია" კი ვერ გაითვალისწინა. პარტიის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბლეკბერნი ერთდროული თამაშის სეანსის ჩასატარებლად მიიწვიეს. მათ მიზნად დაისახეს სეანსში რაც შეიძლება მეტი პარტია მოეგოთ და თანაც თამაში მალე დაემთავრებინათ. ამიტომ სტუდენტებმა ეშმაკობას მიმართეს: დარბაზში ბევრ ადგილას ვისკის ბოთლები დადეს და დიდოსტატს წამდაუწუმ სთავაზობდნენ. ბლეკბერნს არც ერთხელ არ უთქვამს უარი, ბევრი დალია, მაგრამ სტუდენტებმა მაინც ვერ მიაღწიეს საწადელს. თუმცა სეანსი, როგორც ორგანიზატორებს სურდათ, მალე დამთავრდა, მაგრამ პარტიების დიდი უმრავლესობა ბლეკბერნის გამარჯვებით დასრულდა.



## რამ დააეჭვა ჯენტლმენი?!

პეტერბურგის 1914 წლის საერთაშორისო ტურნირში ერთმანეთს ხვდებოდნენ ჭაღარა ინგლისელი დიდოსტატი ბლეკბერნი და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა არონ ნიმცოვიჩი. ბლეკბერნმა არ იცოდა რუსული ენა, ნიმცოვიჩი მაშინ ჯერ კიდევ ვერ ფლობდა ინგლისურს. ამიტომ ხელის ჩამორთმევით შემოიფარგლნენ და თამაში დაიწყეს.

მდგომარეობა სავსებით თანაბარი იყო და პარტიაც თითქმის ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. ბლეკბერნმა, რომელიც ყოველთვის მოგებაზე თამაშობდა, მეტოქეს მოხდენილი ტაქტიკური მახე დაუგო და ბედმა გაუღიმა კიდეც: ნიმცოვიჩმა ვერ შეამჩნია მუქარა და ერთბაშად უიმედო პოზიცია მიიღო.

— ბებერმა მელამ მომატყუა! — გამწარებით წამოიძახა მან.

ბლეკბერნმა ვერაფერი გაიგო, მხოლოდ სიტყვა „ბებერი მელა" დაიმახსოვრა, ძალზე აინტერესებდა, რას ნიშნავდა იგი.

ბლეკბერნი წამოდგა და ტურნირის ორგანიზატორს მიმართა:

— მითხარით, გეთაყვა, რას ნიშნავს ბებერი მელა?

— ბევრს არაფერს.

ვისაც კი არ მიმართა ბლეკბერნმა, განემარტათ მისთვის ეს სიტყვა, ყველამ სხვადასხვანაირად აუხსნა და ხანდაზმული დიდოსტატი კიდევ უფრო დააეჭვა. მაშინ ინგლისელმა მხაჯს ჰკითხა:

— კარგი, რახან არ მეუბნებით, აგრე იყოს. ერთი რამ მაინც განმიმარტეთ, ეს „ბებერი მელა" ჯენტლმენია თუ არა?!

გივი გამრეკელი





საქართველოს ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენსი რეიგანი

# წინასწარ ვერ მოემზადები

### ნაწყვეტები მოგონებებიდან

როცა 1981 წლის იანვარში ვაშინგტონში ჩავედით, გულწრფელად მეგონა, რომ ვიცოდი რა ვალდებულებანი აკისრია პირველ ლედის. მე უკვე გამოცდილი გახლდით: მთელი რვა წელი პირველი ბანოვანი ვიყავი კალიფორნიაში — ყველაზე დიდ შტატში და თანაც ერთადერთ ადგილას მსოფლიოში, სადაც პრესას ყველაზე დიდი გავლენა აქვს. მაგრამ, თურმე, წინასწარ ვერ მოემზადები პირველი ლედის როლისათვის. იმ წუთიდან, როგორც კი ფეხი შევდგი თეთრ სახლში, ისე გამოვიდა, თითქოსდა არავითარი პირადი ცხოვრება არ შეიძლება მქონოდა. რაც უნდა გამეკეთებინა ან მეთქვა მეუღლისა თუ დედის კვალობაზე, ყველაფერი მსჯელობის, მითქმა-მოთქმისა და ვარაუდების საგანი ხდებოდა: როგორ ვიცვამ, როგორი მეგობრები მყავს, გემოვნებით მიწყვს თუ არა მორთული სახლი, როგორი დედა ვარ...

მე ოჯახს მუდამ კრუხივით დავტრიალებდი. ყოველ ახალ ადგილზე, უპირველეს ყოვლისა, შინ წესრიგს ვამყარებდი. მიყვარს, ქმარს რომ თბილ, მყუდრო ბუდეს მოუწყობ ხოლმე. ვიცოდი, თეთრ სახლში ბევრი საქმე მექნებოდა, მაგრამ სანამ არ გადავედით, წარმოდგენაც არა მქონდა, რა დიდი სამუშაო მელოდა, მეტადრე პირად აპარტამენტებში. რამდენიმე საძინებელი ოთახი ზემო სართულზე მთელი თხუთმეტი წელი არ შეეღებათ. მრგვალ კაბინეტში, მაგიდის ერთ უჯრაში ძველი ბუტერბროდი და ლუდის ცარიელი ქილა დაგვხვდა.

როცა თეთრ სახლში ახალი პატრონები გადადიან, კონგრესი მოწყობასა და რემონტზე ორმოცდაათი ათას დოლარს გამოჰყოფს ხოლმე. მე და რონიმ გადავწყვიტეთ ეს დოტაცია არ აგვეღო. ჯერ ერთი, ეს მაინც არ ეყოფოდა ამდენი წლის მანძილზე მიშვებულ სახლს, მეორეც, გვერჩივნა ყველაფერი ეს კერძო შემოწირულების ხარჯზე გაგვეკეთებინა.

მგონია, ჩემს სიცოცხლეში იმდენი არ მიმუშავია, რამდენიც მაშინ. ზოგჯერ, გვიან ღამით გამახსენდებოდა, რომ კარგი იქნებოდა, რომელიმე ჭალი თუ სურათი სხვა ადგილზე გადამეტანა. თერთმეტ საათზე რონის ხშირად დაუძახნია ჩემთვის: „ძვირფასო, სადა ხარ? უკვე გვიანაა. ძილის დროა!“ მე კი ქვემოთ, მრგვალ დარბაზში ვიყავი და რომელიღაც მისადგმელ მაგიდას ვაჩოჩებდი ან სავარძელს ვეჭიდებოდი.

არასოდეს დამავიწყდება ის წუთი... თურმე, ამაოდ არ გავრჯილვარ: ერთ საღამოს, მას შემდეგ, როცა მესამე სართული თითქმის მოვამთავრე, მე და რონი დასავლეთ დარბაზის იმ ნაწილში ვვახშმობდით, სასტუმრო რომ ჰქვია. მსახურთუფროსმა წინ ლანგარი დამიდგა, გამიღიმა და მითხრა: „ეს ხელახლა ემგვანება თეთრ სახლს“. ასე მეგონა, პირადი გმირობისათვის დამაჯილდოვეს.

მაგრამ თეთრი სახლის გარეთ რეაქცია სულ სხვანაირი გახლდათ. ტელევიზიაში ყოველ სიახლეს თეთრ სახლში უთუოდ წაუმძღვარებდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენჯერ იმატა უმუშევართა და უსახლკაროთა რიცხვმა. ზოგიერთი კომენტატორი ვარაუდს გამოთქვამდა, ეს ყველაფერი საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე ხდებაო. სხვა გადაცემებში იმაზე გვედავებოდნენ, რესტავრაციისათვის საჭირო ფულს რომ ჩვენი პირადი მეგობრები გვწირავდნენ.

თუკი თეთრი სახლის რესტავრაციამ საზოგადოებაში ესოდენი უკმაყოფილება გამოიწვია, ახალი ფაიფურის ჭურჭლის შეძენამ ხომ მთლად გააცოფა იგი.

ჩვენი პირველი ოფიციალური სადილის შემდეგ, მარგარეტ ტეტჩერის საპატივცემულოდ რომ გავმართეთ, გაზეთებმა მკითხველებს აუწყეს, რომ მე სუფრა წინა პრეზიდენტების შეგროვილი სხვადასხვა სერვიზით გავაწყვე. ეს მართალი იყო, მაგრამ ასე განა იმიტომ მოვიქეცი, წინა ლიდერთათვის მიმეგო პატივი? უბრალოდ, ერთი წყვილი სერვიზი ყველასათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ბევრი რამ გატეხოდათ, ფაიფური ნაზია და ხშირი ხმარების თუ რეცხვისაგან, ადვილად იმსხვრევა ხოლმე. მეორეც, ქურდობის ბრალიცაა. მართალია, მეტი წილი სტუმრებისა წესიერად იქცევა. მაგრამ ყოველთვის გამოერევა ისეთი ვინმე, ისე რომ არ შეუძლია წასვლა თეთრი სახლიდან, სუვენირი არ გააყოლოს ხელს. ოდესღაც, 1930 წელს, ელეონორა რუზველტმა გაცილებით მეტი პურის თეფშები შეუკვეთა, ვინემ საჭირო იყო, ვინაიდან ბევრი მისი სტუმარი ამ პატარა თეფშებს ჩუმად იდებდა ჩანთებში. ახალი სერვიზის შეკვეთა ამჯერად აუცილებელიც იყო — ტრუმენის დროიდან მისი მთლიანი კომპლექტი არავის შეუძენია.

სერვიზი თავის ფასში შეიძინა ნაპის ფონდმა მერილენდიდან და თეთრ სახლს საჩუქრად გადასცა. მე აღტაცებული გახლდით, თუმცა დღემდე შეიძლება აქა-იქ წაიკითხოთ, რომ სერვიზი ჩემი ნაყიდია.

მე გამომექომაგა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, მარგარეტ ტრუმენ დენელი, რომელიც მამამისის პრეზიდენტობისას თეთრ სახლში ცხოვრობდა. მან „ნიუ-იორკ ტაიმსში“ განაცხადა: „პირდაპირ სამაგლობაა მთელი ეს აურზაური იმის გამო, რომ იგი უბრალოდ თავის მოვალეობას ასრულებს: ეს დიახაც სასაცილოა... ყველა დიასახლისმა კარგად იცის, რომ არ შეიძლება სუფრა გააწყო სხვადასხვა სერვიზის თეფშებით. როდესაც პრეზიდენტი და პირველი ლედი ოფიციალურ სადილს აწყობენ, ჭურჭელიც შესაფერისი უნდა იყოს. ჩვენს დროს ასეც გახლდათ“.

და რა თქმა უნდა, სალაპარაკო გახდა ჩემი ჩაცმის მანერაც. დიახ, დიახ, ჩემი ჩაცმის მანერაც! ამაზე ლაპარაკი დაიწყო პირველი დღიდანვე, ჩემი პირადი შემკულობის

გამო: ეს იყო მძივებით გაწყობილი ულამაზესი თეთრი კაბა, ცალ მხარზე მოშიშვლებული — ჯეიმს გელეისონის შემოქმედება გახლდათ. გაზეთებმა ეს კაბა ოცდახუთი ათას დოლარად შეაფასეს. ჯიმი გელეისონმა მე ის მაჩუქა. მოგვიანებით სმითსონის ინაუგურაციის ტუალეტების კოლექციას გადავეცი.

პირველი ლედი რომ გავხდი, მე არ მილალატნია ჩემი ჩაცმის მანერისათვის. რაც თავი მახსოვს, მუდამ მიყვარდა ჩაცმა. დიახ, მე ვაღმერთებ ლამაზ ტანსაცმელს, თავს უფრო დაჯერებულად ვგრძნობ, როცა თმა ლამაზად მაქვს დავარცხნილი. მეც ხომ კინოს სამყაროდან ვარ. სადაც ჩემს დროს მაინც, ხალხში ცუდად ჩაცმული გამოსვლა სირცხვილი გახლდათ. ვაშინგტონში აუდიტორია უფრო მრავალრიცხოვანი იყო და შემთხვევებიცა და მოვლენებიც უფრო მეტი. აქაც მუდამ მახსოვდა, რომ მიყურებდნენ. ისიც მესმოდა და ახლაც მესმის, რაც შეიძლება კარგად უნდა გამოვიყურებოდე. ბოლოს და ბოლოს მე ჩემს ქვეყანას წარმოვადგენდი.

საქმე იმაშია, რომ ადრე მე ძალზე დაუდევრად ვიცვამდი. რანჩოში და კემპ-დევიდში მუდამ ჯინსები მეცვა. საღამოს, თუ არსად არ მივდიოდით, ჩვეულებრივ ღამის პერანგს გადავიცვამდი ხოლმე, ზემოდან კი ხალათს.

მაგრამ როცა ვაშინგტონში გადავედით, უფრო დიდი გარდერობი დამჭირდა. პირველი ლედის განუწყვეტლად აკისრია ოფიციალურ ვალდებულებათა შესრულება. როცა თეთრი სახლიდან გამოდის, ეს ყოველთვის თითქოსდა მისი სოლო გამოსვლაა. რაკი მე დიდძალი სამკაული მჭირდებოდა, გაცილებით მეტი, ვიდრე ყიდვა შემეძლო, განსაკუთრებულ შემთხვევებში ქირით გამომქონდა ჩემი საყვარელი მოდელიერების კოლექციებიდან. გეფიცებით, არ მეგონა, ამ ამბიდან თუ რაიმე პრობლემის შექმნა შეიძლებოდა. პირველი ლედები ხშირ-ხშირად იცვლიდნენ ხოლმე სამოსს. თუ იყიდდნენ, შემდეგ ნაკლებ ფასად ჰყიდდნენ. ისე კი საინტერესოა, რა მოხდებოდა, ქირით რომ არ გამომეტანა და მხოლოდ ის ჩამეცვა, რისი ყიდვაც შემეძლო? სულ მალე, იმის ნაცვლად, ექსტრავაგანტურობა დაებრალებინათ ჩემთვის, პრესა ძველმოდურად და უგემოვნოდ გამომაცხადებდა. გაზეთები იმასაც დაითვლიდნენ, რამდენჯერ მნახავდნენ ერთსადაიმავე ტანსაცმელში. ვშიშობ, ამასთან ბრძოლა უაზრობა იქნებოდა.

ლაპარაკი თეთრი სახლის განახლების თაობაზე, ლაპარაკი ჭურჭელზე, ჩაცმა-დახურვაზე — ეს ყველაფერი მოდიოდა იმ წარმოდგენიდან, ჩემზე რომ შეიქმნა ჯერ კიდევ თეთრ სახლში გადასვლამდე. არ ვიცი რატომ, მაგრამ უფრო და უფრო მეტი სიმძაფრით მესხმოდნენ თავს. ოქტომბერში, 1980 წლის არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ლოს-ანჟელესის „ჰერალდ იგზემინერმა" ხუთი წერილისაგან შემდგარი სერია გამოაქვეყნა სათაურით „ქალი, რომელიც შეიძლება დედოფალი გაგვიხდეს". აქამდე მბურძგლავს ტანში ამის გახსენება. მთელი სვეტის სიგრძეზე გაჭიმულ სურათზე გამოსახული ვარ დედოფლის სამოსში, თავზე გვირგვინით, საჭადრაკო დაფაზე დახრილი, ქვემოთ კი საუბარია ჩემზე, როგორც ფრიად ანგარიშიან ქალზე, ძალაუფლებისთვის რომ იბრძვის და თეთრ სახლში ჩასახლება სწყურია.

სხვა ავტორებიც იმავე აზრს ანვითარებდნენ. მცირედი გამონაკლისის გარდა, ისინი მხატავდნენ საზოგადოების მაღალი წრეების ქედმაღალ და თავცარიელ ქალად, ისეთ ქალად, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი მეგობრები და მოდური ჰინჰები აინტერესებს.

მეტსახელებიც იმდენი მომიგონეს, თვლაც კი არა აქვს: დედოფალი ნენსი, რკინის პეპელა, მუყაოს ტიკინა. თავის შოუში „დღეს საღამოთი" ჯონ კარტერმა სარკასტულად ამცნო ყველას: თურმე ჩემი საყვარელი საჭმელი ყოველდღე შავი ხიზილალა გახლდათ! ეს ყველაფერი არამარტო მწყინდა, პირდაპირ მაცოფებდა. ბრაზი მერეოდა: თურმე მეც ერთი იმ ქალთაგანი ვყოფილვარ, ვინც მთელი დღეები მხოლოდ და მხოლოდ რესტორნებსა და მაღაზიებში დარბის. როცა მე და რონი პესიფიკ-პელისაიდეში ვცხოვრობდით, ლოს-ანჟელესის ჩრდილოეთით და ბავშვები პატარები გვყავდნენ, თითქმის მთელი დღე საჭეს ვუჯექი — ხან კბილის ექიმთან მიმყავდა ისინი, ხან ბაზარში მივდიოდი, ხან კი სკოლის საქველმოქმედო ბაზრობაზე ცხელ-ცხელ სოსისებს ვყიდდი. ერთი სიტყვით, იმას ვაკეთებდი, რასაც ყველა ნორმალური დედა აკეთებს. ვაძლევდი კი ჩემს თავს უფლებას ხანდახან რესტორანშიც მესაუზმა? რა თქმა უნდა! დავდიოდი კი მაღაზიებში? ცხადია. ოღონდაც არც ერთი და არც მეორე არ იყო ჩემი ცხოვრების მიზანი.

იმ დროისათვის, როცა პირველი ლედი გავხდი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ჩემზე უკვე შექმნეს გარკვეული შეხედულება. რა თქმა უნდა, ადვილია, ყველაფერი პრესას გადააბრალო, მაგრამ ახლა კი ვფიქრობ, რომ დამნაშავე ორივე მხარე ვიყავით. ჟურნალისტებს სულ ცოტა დრო მაინც უნდა დაეხარჯათ ჩემი უკეთ გაცნობისათვის და არ დაყრდნობოდნენ ძველ ამბებსა და წარმოდგენებს, მე კი უფრო მეტი ძალისხმევა გამომეჩინა მათთან კონტაქტის დასამყარებლად, რათა დაენახათ სინამდვილეში როგორიც ვიყავი. მე ძალზე გულჩახვეული ქალი ვარ. მუდამ მიჭირს ადამიანებთან გულის გადახსნა, მეტადრე რეპორტიორებთან და მეტადრე პირად ცხოვრებაზე. თავდაპირველად, როცა ასე მოქცევა ვცადე, საქმე ხშირად ჩემსავე წინააღმდეგ ტრიალდებოდა. ხოლო როგორც კი რაიმე მეწყინება, მაშინვე ჩემს თავში ვიკეტები. ახლაღა მესმის, რომ ამით შენს თავსვე ვნებ და ხალხის თვალში გულგრილობისა და სნობიზმის შთაბეჭდილებას სტოვებ.

თეთრი სახლის დატოვების შემდეგ, მე და პრესამ უკეთ გავიცანით ერთმანეთი. მე ის პირველი ლედი არ ვიყავი, ვინც მასობრივ ინფორმაციას მუდამ მიზანში ჰყავდა ამოღებული, მაგრამ არა მგონია, ჩემს წინამორბედებს ისე ხშირად დასხმოდნენ თავს, როგორც მე პირველი წლის მანძილზე. 1981 წლის მიწურულს ჩემი არაპოპულარობის რეიტინგი უფრო მაღალი იყო, ვინემ ახალი ისტორიის რომელიმე პირველი ლედისა.

ადამიანს იშვიათად უხდება ყველაფრის თავიდან დაწყება. 1982 წლის გაზაფხულის ხუთმა წუთმა სრულიად შეცვალა ჩემი და ვაშინგტონელი ჟურნალისტების კავშირურთიერთობა. ეს მოხდა „გრიდაიენის" კლუბის ტრადიციულ სადილზე, რაიც ვაშინგტონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. „გრიდაიენი" რჩეულთა კლუბია, სამოცი ჟურნალისტია მისი წევრი სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებიდან. ყოველ გაზაფხულზე ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილს იხდიან. მამაკაცები ფრაკებში არიან გამოწყობილნი. იწვევენ არაუმეტეს სამოცი სტუმრისა. ჟურნალისტთა პროგრამა მუდამ ერთი და იგივეა. წარმოადგენენ მძაფრ, ზოგჯერ სასაცილო სკეტჩებს, აქილიკებენ როგორც დემოკრატებს, ისე რესპუბლიკელებს. საღამო მთავრდება პრეზიდენტის პატივსაცემად წარმოთქმული სადღეგრძ ე ლ ო თ ი. ამაზე პრეზიდენტმა სადღეგრძელოთივე უნდა უპასუხოს.

ბენჯამინ ჰარისონით დაწყებული ყველა პრეზიდენტი ერთხელ მაინც დასწრებია ამ სადილს. მე და რონის, ვაშინგტონში ყოფნისას, ერთხელაც არ გამოგვიტოვებია იგი. 1982 წელს ამ სადილამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩემმა პრესმდივანმა შილა ტეიტმა მითხრა, რომ თეთრ სახლში გატარებული უკუღმართი წლის შემდეგ, ცხადზე ცხადია, ამ საღამოზე პატარა სცენასაც გაითამაშებდნენ ჩემზე. მისი აზრით, საშინელება იქნებოდა, თუკი ისინი ისეთ ნიღაბს შეთითხნიან, მთელი ცხოვრება რომ ვერ მოვიშორებდი.

სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ გრიდაინელები ჩემზე სიმღერას აპირებდნენ. ვიღაცამ მითხრა, რომ საპასუხოდ მეც რაღაც უნდა ვიმღერო პრესაზე.

არც იფიქრო, — ვუთხარი შილას, — პრესას არამც და არამც არ დავესხმები თავს. თუ ვიმღერე, ეს მხოლოდ ჩემი თავის გაქილიკება იქნება.

— შენ სიმღერას აპირებ მართლა?

— დიახაც.

— ცეკვასაც?

— რა თქმა უნდა! ოღონდ არ მინდა ეს ამბავი თუნდაც ჩემმა ქმარმა იცოდეს წინასწარ.

ღირსეული პასუხი რომ მომემზადებინა მათთვის, „გრიდაინენის" ხელმძღვანელობამ თავისი სიმღერის ტექსტი გამომიგზავნა. მისი შემსრულებელი, ნენსი რეიგანის სახელით, „გამხმარი ვარდიდან" ფანი ბრაისის ფრიად პოპულარულ სიმღერას მღეროდა. სიმღერა ასე იწყებოდა:

ჩემი ძველი, ძონძი სამოსი...
მე დავარიგე ეს ძონძები
მუზეუმებსა და ვიტრინებში
გამოსაფენად.
ჰოდა, ისეთმა აღტაცებამ
შეიპყრო ყველა,
არც კი დახედეს, რომ მანჟეტები
გაქექილია,
კაბა კი ღვინით დალაქულა
სულერთიანად.

შილამ ერთ-ერთს ჩვენი სიტყვების მთხზველებიდან სთხოვა საპასუხო ლექსზე ემუშავა. ისიც გადასაწყვეტი იყო, თუ რა ჩამეცვა სადილზე. ჩემი ახლობლების შთაგონებითა და დახმარებით ჩვენ შევაკოწიწეთ მართლაც სასაცილო ცისფერპეპლებიანი თეთრი შარვალი, ყვითელი რეზინის ჩექმებით, თეთრწინწკლებიანი ცისფერი კოფტა. ზემოდან უმახინჯესი წითელი ჩითის უსახელო საშინაო კაბა. გარდა ამისა, მეცვა ცისფერი ჩითის ქვედაკაბა, ერთი მხრიდან ბრჭყვიალა პეპლით დამაგრებული, მეკეთა ყალბი მარგალიტების გრძელი მძივი, მესხა გაქუცული ბოა და მეხურა ფრთებითა და ყვავილებით გაწყობილი ქილის წითელი ქუდი. მოკლედ, რაღაც საფრთხობელას ვგავდი.

სადილზე, რა თქმა უნდა წესისა და რიგის მიხედვით ჩაცმული, ისე ვნერვიულობდი, ლუკმა ვერ გადავყლაპე. იქნებ იმიტომ, რომ მე პირველი ლედის, ამერიკაში ყველაზე გავლენიანი ექვსი ათეული ადამიანის წინაშე ტუტრუცანა გოგო უნდა მეთამაშა.

მაგრამ უკან დახევა უკვე გვიანი იყო. როცა სცენაზე შემსრულებელმა ნახევარი სიმღერა უკვე მოამთავრა, რონის მივუბრუნდი და ვუთხარი, უნდა გავიდე-მეთქი. შილა ტეიტი, ჩემზე მეტად რომ ღელავდა — თუკი ამაზე მეტი ღელვა შეიძლებოდა, გაზეთის ორ გამომცემელს შუა იჯდა.

კულისებს უკან ტანთ გამოვიცვალე, მერე დიდ საკიდართან დავიმალე. აქ ვერავინ დამინახავდა. როცა მომღერალი გაჩუმდა, სამოსი გავისწორე და გამოვედი. ჩემს გამოსვლას საეჭვო ღიმილით შეხვდნენ. რამდენიმე წამს ვერავინ მოისაზრა, ვინ იყო ეს ქალი. მაგრამ როგორც კი მიცნეს, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ვინემ პირს სასიმღეროდ გავაღებდი, ტაშის ზღვა წამოვიდა. სიჩუმე რომ ჩამოვარდა, დავიწყე სიმღერა:

ჩემი ძველი, ძონძი სამოსი...
ჰო, მე ძველმანი მაცვია ახლა,
უკანასკნელი თუმც კი ჰქვია
წრიპინი მოდის.
აი ეს ქურქიც „ახალთახალი"
რონიმ გროშებად რომ შემიძინა,
გამოფენაზე მომიწონეს:
„დიდებულია!"
ჩემი ძველი, ძონძი სამოსი...
დიახ, ძველია ჩემი ძონძები.
ახალი მხოლოდ სერვიზი გახლავთ.
თუმც მომძახიან, არა ხარო
ჰერცოგის ცოლი.
იქნებ გვეყიდა საკერავი მანქანა,
რონი?
ელ მისსთან ერთად რაღაც
ერთ დღეში
ისეთ გარდერობს მოვიჯღანავდით,
მარკიზებიც არ დაგვიწუნებდნენ.

როგორც კი სიმღერა დავამთავრე, ფეხზე ამდგარმა დარბაზმა ისევ ოვაცია გამიმართა. მეც მხოლოდ მაშინ გავმხიარულდი. მთხოვეს სიმღერის გამეორება და მეც გავიმეორე თავიდან ბოლომდე.

როგორ ვიფიქრებდი, რომ ჩემს გამოსვლას ესოდენ მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვებოდა. რაც ვაშინგტონში ვცხოვრობდით, სულ ამას ვიგონებდით. სიმღერამ და იმან, რომ ვისურვე მისი შესრულება, საზოგადოებრივი აზრის კანონმდებლები მიახვედრა: ვინ იცის, სულაც არა ვარ ისეთი, როგორიც ეგონათ — არც ცივი და მედიდური, არც მეფური სიამაყისა. იმ საღამოდან მოყოლებული, ვაშინგტონში, ჩემზე ნელ-ნელა იცვლებოდა შეხედულება.

ჟურნალ-გაზეთებში დიდი ხანია აღარ წამეკითხა ჩემზე რაიმე სასიამოვნო, ამიტომაც ჩემთვის ძალზე ძვირფასია მათი გამოხმაურება იმდღევანდელი გამოსვლის თაობაზე:

„პირველმა ლედიმ ყველა ბეჭებზე დააწვინა თავისი სიმღერითა და ცეკვით", — წერდა „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი". „ნიუ-იორკ ტაიმსმა" კი აღნიშნა: „პრეზიდენტმა ნიქსონმა ერთხელ აქ დაუკრა როიალზე, ბეტი ფორდმა ერთხელ იცეკვა. მაგრამ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ არც ერთი პირველი ლედი არ მოსულა აქ ესოდენ ჩინებულად მომზადებული... ეს გახლდათ გასაოცარი წარმატება!"

თარგმნა
**რუსუდან ქებულაძემ.**

# წვიმა მოდის, მასველებს...



გიორგი ხორგუაშვილი

გამოგვალულ დედამიწას წყურვილი მოეკლა წუხანდელი წვიმითა. მოლურჯო, მოლუშული მთები ნისლების ზღვაში ჩაძირულიყვნენ. ფარა-ფარად ნახეტიალები ღრუბლები ისევ ისე იცრემლებოდნენ მწუხარე დედაკაცებივითა. მხუყე ჰაერს ხარბად სუნთქავდა ნაავდრი სოფელი.

საძილე დილა თენდებოდა, მაგრამ მაინც უთენია გაღვიძებოდა სანდალას, ღია აივანზე მდგარ გრძელ ტახტზე რომ ჩამომჯდარიყო, წვერი რომ ზღარბივით გაბურძგვოდა, ულვაშები წვერებამდე გადაერთებოდა, სქელი წარბები გადაბმოდა, ხშირი თმა ყვავის ბუდესავით ჩამომხობოდა, დაჭმუჭნული შუბლი და ჩარუჯული ლოყისთავები ძლივს უჩანდა; გახუნებული ხალათი ამოსჩაჩოდა ქამრიდან, შარვლის ტოტები ქუსლებგამოცვეთილ წინდებში ჩაეჭყლიტა, იჯდა და იფნის სახრეს როკებს ათლიდა, აკოხტავებდა თავისი განუყრელი საკეცი დანით აკოხტავებდა. ისევ ეინჯღლავდა. გამოდარებას ელოდებოდა, თორემ შინ რა გააჩერებდა აქამდე.

— არ გეყურება, სანდალ! — ძლივს გააგონა მესერზე გადმოყუდებულმა მეზობელმა.

— რომელი ხარ, რა გინდა? — მოაჯირზე გადაიზნიქა.

— მე ვარ, ნიკალაი, რამ დაგაყრუა, რა ერთი ხანია ვყვირივარ.

— შამოდი შიგნითა, რა შორიდან მეკრძალები ცხრაუცხოსავით.

— გადმოშავდი, არაყი უნდა ჩავაცეცხლო.. ისეთი ხაში გაუკეთებია დედაკაცსა, სუ ჩლიქის ქონითა და ნივრის ნანაყით ჰიპჰიპებს...

სანდალას ესიამოვნა მეზობლის „გადმოშავდიცა“ და „ჩავაცეცხლოცა“, უზერზულად ჩაიხველა და არა მცალიანო, უდონოდ იუარა.

—რა ცალები გკიდია?!

— აი, აი... — აუბორძიკდა ენა, — სახრესა ვთლი.. მერე ხო იცი, საქონელი უნდა გავრეკო...

— ამ წვიმაში სად უნდა ათლეხენო...

— გადაღებას ვუცდიდი.

— სანამ გადაიღებს, სამი არაყის დალევას კი არა, ნათლობასაც მოვასწრებდით.

— განა არ მოვასწრებდით, მაგრამა...

— მაგარი რაღა არის, გადმოშავდი.. ბევრს ნუ ყბედობ, ეს ერთხელ წამომცდა, განა ხვალაც დაგპატიჟებ...

სანდალა არც „ჰოს“ ამბობს და არც „არას“.

— წადი, წაჰყე, თორემ შენი ცოდვითა ქვაც დაიწვის!— გაახარა ცოლმა, რომელიც კედლის ძირში რძის ქვაბთან ჩაცუცქულიყო და ხმელ ჩინჩხვარს უმარჯვებდა ცეცხლსა.

სანდალა ზლაზვნით წამოიმართა, იფნის სახრე უმიზნოდ გაამზუილა ჰაერში, იქვე კუნჰულში მიაყუდა და ხალათის სწორებით წამოეწია ნიკალას.

— მოდი, კაცო, ხელი რომ დაგიქნიო, მეძებარივით უნდა გამოქანდე, კარის მეზობელი ვარ! — ხელკავით წაიყოლია ნიკალამ.

— საქონელს არ დაუგვიანდეთ გარეკვაი და...

მეზობლები მიეფარნენ.

დამძიმებული ღრუბლები ნაძოვარი ნახირივით მოხალისობდნენ სოფლისკენ. მალმალე წამოჟინჟლავდა. მთას უკვე ამოცდენილი მზე ჟამიდაჟამ თუ გაიბჟუტებდა.

ნიკალა და სანდალა კი მრგვალ, მორისაგან გამოყვანილ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ და ხალისით მიმარჯვებოდნენ მცირედ პურ-მარილს, დაბალ, გაჯგიმულ მაგიდაზე რომ გაეშალათ სახელდახელოდ.

რასაკვირველია, მასპინძელი უფრო თამამობდა და სტუმარს აძალებდა, პური გატეხა. ჩამჩურა, ხის კოვზებით ურევდნენ დიდი წაფურა ჯამებით მორთმეულ ხაშს და დანაყულ ნიორს აზავებდნენ.

ჯერ ნიკალამ გაუსინჯა გემო ქაფქაფა ხაშის წვენსა, მაგრამ პირი ვერ დაიგემოვნა, უკან გამოიბრუნა გალიცლიცებული კოვზი, მაგიდა მოათვალიერა და:

— დედაკაცო! — წყრომით გასძახა.

— აქა ვარ! — მხიარულად განოსძახა.

— მანდ რომ ხარ, კიბე მაიტა აქა!

— რა კიბე, რის კიბე?

— რა კიბე, და მაღალი კიბე რო გვაქვს.

— რაღა, კაცო!

— მაიტა და ადი, ზემოდან გადმოხედე, კარგად დააცქერდი, რა აკლია ჩვენ სუფრასა.

მეუღლე მიუხვდა და მარილი მოუძუგძუგა.

— ეგრე, შე შობელნაშობო, უმარილო კერძსა და ისიც ხაშსა, რა გემო უნდა ჩაატანოს კაცმა.

— რავი, ათასგან გამირბის ჰკუაი და...

— მარტო ჩემკენ მოაბრუნე ეგ ჰკუაი, თორემა... ხელად გადაგცვლი სხვაზე. ხო იცი, რო შენი წლოვანებისაზე ორ ჯიელ ქვრივს იძლევიან...

— თვალი შენც გამოგბჟულეტია, ერთითვის ვერ მოგივლია და ორს როგორ შეინახავ, — ხურდას არ აკლებდა დიასახლისი და კვლავ მარიფათიანობდა.

გემრიელად შეექცეოდნენ.

მადა ისედაც არ აკლდათ, მაგრამ თავი არაყით რომ აიშალეს საღერღელი, ვერცხლის წყალივით რომ კამკამებდა, წვრილი ჯაჭვი რომ მოეგდო სიცხარისაგან, ადამიანს კი არა, კამეჩსაც რომ ხასიათზე მოაქცევდა, — ხაშით გალიცლიცებული წაფურებივით ჯამებსაც ხომ მალე გამოუჩინეს ძირები და სისხლად ამოღებულ ლობიოს და მშრალად მოხარშულ ჩალაღაჯსაც ხალისით უბეჯითებდნენ ერთმანეთსა.

—არაყი კენტი უნდა! —იტყოდა მასპინძელი და დაბინდულ ჩარექიანს წასწვდებოდა ჰიქის შესავსებად.

— კენტი უნდა და დაასხი! — ხალისითვე მიუმარჯვებდა გამოცლილ სასმისს უმორცხვო სტუმარი.

ისე საამოდ ყლურჰავდნენ ცეცხლივით არაყს, თითქოს შუშხუნა შამპანურით იკოკლოზინავებდნენ ყელსა. გადაჰკრავდნენ და თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდათ, რაღაცა გამოუცნობი ჟინით დაიჭნევდნენ გამოწრუპულ ჰიქასა და:

— აბა, ერთი რუსიც მოვკალი! — გამარჯვებულის კილოთი იტყოდა მასპინძელი.

„რუსის მოკვლას“, არ ვიცი, რატომ, მათი მამა-პაპანიხა არ იყოს, გალიცლიცებული არაყის ჰიქის უცებ გამოცლას ეძახდნენ, იტყოდნენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთუოდ ლოთი რუსები ჰყავდათ სახეში, თავად რუსებს რომ არცხვენდნენ უწინარესად.

— დაასხი, ერთი რუსი მეც გავაგორო! — კვლავ მიუმარჯვებდა სასმისს სანდალა.

— ერთი კი არა, ათი გავაგორო, ცოტანი არიან?!

„გააგორებდნენ“ და კვლავ წამოსცვიოდათ ნაპერწკლები თვალებიდან.

გუნება გაიმხიარულეს, ქვეყანა გაითავისეს, ისედაც მოჭიგრე მეზობლები უფრო მოუტკბნენ ერთმანეთსა, სულ დაავიწყდათ დარიცა, ავდარიცა, პირუტყვიცა, პირმეტყველიცა, შინაურიცა, გარეულიცა. მაპატიეთ და, როგორც თვითონ იტყოდნენ, ფეხებზე დაიკიდეს ყველა და ყველაფერი, გადაეხვიათ ხელიხელსა და სიყვარულითა ლოშნიდნენ ერთმანეთსა, ლოშნიდნენ და სიმღერაც მოეძალათ. აკი წამოიწყეს კიდეცა. და ახვევდნენ მრავალგზის გაბეჯითებულ სიმღერებსა. გარედან რომ ყური დაგეგდოთ, გეგონებოდათ მთელი გუნდი იოფლებაო, შაშვივითა და კაკაბივით შებმულიყვნენ „წუთისოფელი ახეაო“. „ესროლა ბერმა პაპამაო“, „მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი ძმობილოო“ და მისთანანი გამოდიოდა ნიკალას სახლიდან.

ჰო, გადაეხვიათ ხელი ხელსა და მღეროდნენ თავდავიწყებითა, ყოველ სიმღერას თითქმის ასე ამთავრებდნენ: „ჭირს მოგჭამ, ჭირიმეო!“ და მართლა სჭამდნენ ჭირსა ერთმანეთსა.

ნიკალას მოგვირგვინე ჟამიდაჟამ შუბლს შეიკრავდა, რაკი დილაადრიანად „უბერავდნენ“ კარის მეზობლები, იმ დღისით განაზრახი საქმე რომ გასაკეთებელი რჩებოდათ, ვენახიდან რომ ამოსატანი ჰქონდათ გაგლეჯილი ლობიო.

— რას იმრუშხები, ედრანამატ, ჩემს ნაოფლარზე ვხაროზ, სხვისამებრ ხო არა.

ცოლი შეჯავახებას დაუპირებდა, მაგრამ მობრიალე თვალებს რომ წააწყდებოდა, თანაც ყურსა ჰკიდებდა: „დედას გიტირებ, ჩემო ცოლო, თეკლე გვქიან თუ ჩემი ყველაო, რაც კაი რამე გაქვს, სუ აქ მაიტა, თორე ყირამალა დავაყენებ ყველაფერსაო“, — „ეხლავე, გენაცვალეს“ ეტყოდა და უნებური ხალისით მოაძუგძუგებდა, რაც ეშოვებოდა და არ ეშოვებოდა და თანაც. გული ეუბნებოდა თუ ემუნჯებოდა, „მიირთვით, თქვენი ჭირიმესაც!“ ამოშაქრავდა და ღიმილსაც გაიუხვებდა. უგულობას არ აჩვენებდა, რამეთუ სწორედ მაგ დამრუშხვის გამო ბარე ხუთჯერაც ჰყავდა ჯიგრიანად ნაგინები. რასაკვირველია, ადრე „ცოლის მორჯულების ხანაში“.

ჰო. სუ „მიირთვით, გენაცვალეთ!“ აძახებინა ცოლსა.

— აი, ეხლა მამწონხარ... ეგრე მაიქეცი, წარბი რო აგიქნიო, სიხარულით უნდა შეიკუნტრუშო, თორე, ხო იცი ჩემი ხასიათი!..

ქალბატონი თეკლე თვალებში შესცინებდა ბატონ ნიკალას და მალე გავიდოდა გარეთ უფრო იმიტომ, რომ ყურის სახამუშო არაფერი წამოეყრანტალებინა „დალევის დროს უხასიათო“ ქმარსა.

— აეჰ, სანდალ, ჩვენზე მდიდრის დედაც ვატირე და ჩვენზე ღარიბისაცა! — ვინ იცის, მერამდენედ იტყოდა ნიკალა და კვლავ გადახვევდა ხელს სიყვარულითა.

— ეგრე არა, ნიკალ, ჩვენზე მდიდარსაც ვენაცვალე და ჩვენზე ღარიბსაცა, — შეუსწორებდა სანდალა.

— გინდა ეგრე იყვეს! — და კვლავ წამოიწყებდა ახალ სიმღერასა.

სანდალა ნიკალასთან ქეიფობდა ხაშზე არაყითა.

მის ცოლს კი გუნება ამღვრეოდა, რომ ამ უთენია იბრუჟებოდა ქმარი და მოგვირგვინეზე გაბრაზებული შვილიშვილებზე იყრიდა ჯავრსა.

როგორც იქნა, ღმერთი შეიწიეს.

სანდალა მეზობლის სახლს გადმოსცდა, ნაბდის ქუდი კინკრიხოზე მოექცია, დაჭმუჭნული ხალათი კიდევ უფრო მეტად ამოშლოდა ქამრიდან, საკინძე გაეღეღა და ბარბაცით მიუყვებოდა თავის სახლამდე მისასვლელ გზას, ხან იქითა მესერს მიაწყდებოდა, ხან აქეთასა.

„წვიმა მოდის, მახვილებს,
დარდი აღარ მასვენებს!“ —

მობარბაცებდა და მოიმღეროდა სანდალა.

„ნიკალას ვენაცვალე, მაგნაირი მეზობელი ჯერ არა მყოლია!“ — წაელაპარაკებოდა თავის თავს და მცირე შესვენების შემდეგ ისევ წაიმღერებდა:

... „წვიმა მოდის, მახვილებს“... „ფეხებზე მკიდია ორი და ათი შაური...“ — ჩაურთავდა მოულოდნელად და ისევ განაგრძობდა: „დარდი აღარ მასვენებს!“.

— შენზე დამადარდიანოს გამჩენმა, — შეაგება ცოლმა. — სადა შავდები აქამდე, კაცი კაცზე მოდის და გკითხულობს, აღარც კი ვიცი, რა პასუხით გავაბრუნო!

— მე ხომ არ მივდიოდი, არა, შენ მითხარი და გავყევი, მე და ნიკალამ არაყები დავლიეთ. სხვისი ხომ არ დაგვილევია, არა, ჩვენი ოფლი დავლიეთ! — ფეხებსაც ძლივს მართავდა სანდალა და ენასაც.

— რო გაგაყოლე, განა გასკდი და გატყვრი-მეთქი, დაგელია ორი ჭიქა და წამოსულიყავი. მუცელი რომ არ გაგეტორა, ისე არ იქნებოდა?! ხო იცი, რო შენი ნახირის პატრონსა დაუბერებელ დღეზე სასმელი არ დაელევა!

— მაა, სონა, მე სუ საქონელში დავდივარ და კაცთან პური არა ვჭამო?! განა დათრობა მინდოდა, მაგრამ ესა ვთქვით, ისა ვთქვით, და ესე მოგვივიდა ერთმანეთის სიყვარულითა. — კვლავ ბარბაცით მოიწევდა აივნისაკენ.

— თავის დროზე კიდეც დალიე და კიდეც ჭამე!

— განა სადამოზეც დამიძახებდა ნიკალაი, ეხლა მაინდომა და დამალევინა... რო არ წავყოლოდი, ხო ეწყინებოდა... მერე მეც რო დავუძახებ, ისიც არ დამზარდება... რა გინდა, რას გიშავებ?

—რას მითეთრებ ან მე ან სხვასა, თავმჯდომარე თავის ფეხით მოვიდა აქა!

— მა ხო სხვის ფეხებს არ ითხოვდა თავმჯდომარეა თუ ჩემი ფეხები... თავმჯდომარეა... თავმჯდომარეს დედაცა და... შენიცა... ვინ არის თავმჯდომარეი... თავმჯდომარეც მე ვარ და ბოლომჯდომარეცა!.. ჩემზე დიდი კაცის დედაც ვატირე და ჩემზე პატარისიცა!.. — კვლავ ბარბაცებდა სანდალა.

— ემანდ ხმა ჩაიცი, თორემა...

— მე რად უნდა ჩამიცივდეს გინდა ხმაი და გინდა სხვა რამეი... ხმა ჩაუცივდეს ჩვენს ავადმახსენებელსა!..

მოგვირგვინე პასუხს უხერხებდა.

— აეჰ, სონა, გაშალე პურმარილი, ახლა მე უნდა დავალევინო ნიკალასა! „წვიმა მოდის მახვილებს“, — კვლავ დაატანა თავისებურად...

— მოდი, დაიძილქუშე! — გაუწყრა ცოლი და ტახტზე წამოაწვინა. „გალეშილი“ მეუღლე, ტალახიანი ფეხსაცმელი გააძრო ბურტყუნითა და ძველი ფარაჯა დააფარა.

სანდალამ მალე ამოუშვა ხვრინვა და თან ამოაბორიალა ხაშ-არყის სუნი...

ხომ ასე ნასვამი იყო სანდალა, მაგრამ მაინც ძილშიც შემჯოლოდა პირუტყვზე ფიქრი, სიზმარშიც კი ვერ დაასრულებინეს ძროხების ლანდებმა. შუაგულ ძილში არც კი იყო შესული, რო უცებ წამოხტა ფეთიანივითა: ცივი წყალი შეიშხეფა, თავი გამოიფხიზლა, ჩაკის ლაბადა მოისხა ჩაკისავე შარვალ-ხალათზე, ჩვეულებას არ უღალატა: გრძელთასმიანი აბგა მაინც გაიტენა მჭადპურათი, ლორის ნაჭერითა, ნივრის თავითა და მისთანანითა, მათარაც ჩამოიკონწიალა, ხელში მოიმარჯვა თავისი საყვარელი იფნის სახრე. ამჯერადაც უაზროდ გააშხუილა ჰაერში და ჩქარი ნაბიჯით გასწია პირუტყვის ბაკისკენ. გუმანობდა, რომ საქონელი გარეკილი დახვდებოდა, იკითხავდა საით წაასხეს, გაიგებდა და ისიც იქით გაეშურებოდა, რათა შეშველებოდა მის შემცვლელს, მაგრამ მისი გუმანის საწინააღმდეგოდ ნახირი ისევ ბაკში დახვდა.

სოფლის თავკაცებიც იქა ტორღიალობდნენ.

— სადა ხარ აქამდე! — სალმის მაგიერ შეაგება კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— რავი... ეშმაკთა... ჩვენებიანთ ნიკალამ ხაშზე დამიძახა და... მორიდებით ჩაიბურტყუნა თვალებშეშუპებულმა სანდალამ.

— ჩემმა მზემა, პირდაპირ გაოცებასა ვარა, — ხმას აუწია თავმჯდომარემ, — რამ გადარია ეს ხალხი, ყველა თავის ჭკუის ქეიფზე დადის... აღარც არავისი ეშინიათ, აღარცა რცხვენიათ, ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე იქცევა... გაგონილა, კაცო, შუადღისას მოდიოდეს მეწახირეიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესჩიოდა თავმჯდომარე რაიკომის ინსტრუქტორს. წველადობის გეგმის შესრულების თაობაზე რომ მიემაგრებინათ ამ კოლმეურნეობაში.

— როგორც კი ჰუმანურ მოქმედებას შეგამჩნევენ, მაშინვე თავზე წამოგაჯდებიან, გინდა მისხალივით წონე სიმართლე! — ეს სიტყვები სანდალას გასაგონად უფრო თქვა ინსტრუქტორმა, მაგრამ არყისაგან გონებაგაბრუებულ სანდალას ყურიც არ შეუბერტყია უფრო იმიტომ, რომ მთელი გულისყური მიპყრობილი ჰქონდა ძროხებისკენ, რომლებიც ბაკის წნულზე გადმოყელყელავებულიყვნენ.

— ღმერთი ალარა გაქვს, უენო საქონელი გამოგიმწყვდევია ბაკში და საცოდავად აბღავლებ!

— ულმერთობა ეგ არის, რომ მთელი ფერმა ორი კაცის ანაბარადაა, და დარში თუ ავდარში მარტო ჩვენ გვადევნებთ, — არ დაერიდა სანდალა.

— ისაა მაკლია, რომ თითო ძროხას თითო კაცი ვადევნო, ძაან ჭარბი მუშახელი მყავს, შენმა მზემ!

— წაესხა მიხულასა რა, ჯერ არ გამირეკია უიმისოდა! — ისევ ტლანქად უპასუხა.

— არ იცი, რომ მიხულა ხელმწიფე გახდა?! ახალი დანიშნული კაცია და კეტით ვეღარ მოაგდებინებ ქალხს, ტკიპივით ჩაჰკრობია! განა არ გავაგზავნე კაცი, მაგრამ სოფელში არა გდია, ისეც დანიშნულს შესცქნავის, — ახლა ფერმის გამგე ჩაერია ჩხუბსაუბარში.

— მე რაღა ვუყო... იქნება ჰკვდები და ფერმა უნდა დაიშალოს?.. მუხლებში წყალიღა მაქვს ჩამდგარი ამდენი ზეტიალითა, ახლა სხვებმა სცადონ „იალაღზე სიარული", სამოცდაჩვიდმეტი წლის კაცი ვხდები და ფართატილა გამაქვს. — დაიჩივლა სანდალამ.

— გამოიყვანე შენი ხოლოლა ბიჭი, ერთავად ქოჩორზე რომ ისვამს ხელსა და მამალივით აფხორილი დადის! — ისევ დაუტია თავმჯდომარემ.

— რაღა ჩემს ბიჭს დაადგი თვალი, ჩვენმა ოჯახმა ვერ მოიხადა ვალი? საზრის გათლა ვისწავლე თუ არა, ჩლიქებში დავდევ საქონელს. საწყალი დედაჩემსა და მამაჩემს კოლექტივში ამოსძვრათ სული, დედაკაციც კოლექტივში დამიავადმყოფდა, ექვსივე შვილმა კოლექტივში აიდგეს ფეხი... ნეტაი, გვეძლეოდეს რამეი მაინცა... მოგვიყრით თითო შრომადღეზე თითო კილო სიმინდსა და ეგ არი... ეჰ, გაპირვებას რა ვუთხრა, თორემა... ხელფეხშეკრული გვყევართ ეს მშიერი ხალხი, თორემა...

— ეს ამხანაგი კომუნისტი არ არის? — იცოდა, მაგრამ მაინც იკითხა ინსტრუქტორმა.

— ჰო, კომუნისტია.

— როის ვეხვეწებოდით... არც კი გამიგია როგორ მიმიღეთ, პარტიის კრებაზე მე არ დავსწრებივარ და რაიკომის ბიუროზე... შენნაირები გვჭირდებიანო, მეხვეწებოდით და მეც ხათრი ველარ გაგიტეხეთ... შენ თითონ არ მამიტანე წითელი წიგნაკი? არც კი ვიცი, სად მიგდია... თქვენ ალარ მამეშვით, თორემა რა ფეხებად მინდა პარტიაი...

უხერხული დუმილი.

— თქვენ, როგორც გეტყობათ სათანადოდ ვერ გაგიგიათ პლენუმის გადაწყვეტილებანი. იმის მაგიერ, რომ ბრძოლა გაგეჩაღებინათ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდისათვის, დეზორგანიზაციას უწევთ თქვენს თავსაც და სხვებსაცა. — თავისას არ იშლიდა ინსტრუქტორი.

— რავი, გლეხის შვილიათ, შენზე ამბობენ და მაგდენი არ უნდა იცოდე, რო არც ქაღალდი ეჭმევა საქონელსა და ვერც გადაწყვეტილებები და პლენუმები გააძღობენ. და ვერც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები დაანაყრებს... ალუა ბავშვმაც კი იცის, რო ბალახი, თივა, ფურჩი, ნამჯა და მოშვლელი უნდა პირუტყვსა... და თქვენ რა დაგემართათ... რო მომდგომიხართ და მთათხავთ და მხამად ამამადინეთ ისედაც მწარე არაყი, რატო იმას არ კითხულობთ, სად ვაძუოთ საქონელი?!

— მინდორში! — გაიოცა ინსტრუქტორმა.

— სადღა გვაქვს საძოვარი მინდორი, ფეხის დადგმა აღარ არის დარჩენილი, სადაც ტრაქტორი უდგება, ყველგან გადამუშავებულია. ტყეპირიღა დაგვრჩა საძოვრად და ისიც სულ გადაკორტნილია, ლამის არის, ეკლიანი ჯაგები დაკვნიტოს უბალახო საქონელმა.

— კარგი, ქადაგად ნუ დაეცი, ვითომ არ იცი, სად უნდა აძოვო! — შეუტია თავმჯდომარემ.

— ეეჰ, ბარემ ბევრი რამე ვიცი, მაგრამ, — ხმა ჩაიწყრო სანდალამ. უჩუმრად აიღო საზარე, ხელში მოირბილა, ბაკისაკენ გასწია, პირუტყვი კვლავ აბღავლდა. ამჯერად სიხარულით. სანდალამაც ნალოსით გაალო ბაკის კარები და კუნტრუშით გამოექანენ დამწყვდეული ძროხები.

— რას ამბობ, ერთი დღეც ნუ მაცოცხლა უამათოდა, განა მართლა ეგრეა საქმე. შვილებივით მიყვარან. ჩემი ხელობა საზრეა, მენახირეობაა, ამ საზრემ უნდა მაჭამოს პური. პროპისორი მე არა ვარ, და ცეკას მდივანი, რომ ქაღალდმა და ენამ მაცხოვროს. — თავისთვის ბურტყუნებდა სანდალა და ჩლიქებში მიჰყვებოდა საბალახოდ გაჩქარებულ საქონელსა.

— ეტყობა, ცოტა, ენა აქვს გრძელი, თორემ ცუდი მუშაკი არ უნდა იყვეს! — მიუბრუნდა ინსტრუქტორი თავმჯდომარეს.

— ეგეთი ჯაჯღანი იცის, თორემ თოფით რო დაადგე, საქონელს ვერ მოაშორებ, ისე უყვარს... ამ დილით როგორ მოუხდა. არ ვიცი, მაგრამ კაცია და...

სანდალა საქონელს მიერეკებოდა. შემაღლებული მზე პირს იბანდა.

„წვიმა მოდის, მასველებს,
დარდი აღარ მასვენებს!" — მისდევდა საქონელსა და მიიმღეროდა სანდალა.

დამშეულ პირუტყვს მაინც გულს ეფონებოდა სანდალას სიმღერა. თავჩაღუნულნი მიფრატუნებდნენ და კარგა ნაწვიმარ გზას მისთლეხავდნენ. მერე იმათაც ხალისით შეხედეს მთასა და მთას შუა გადაკამარებულ ცისარტყელას და უკან მომყოლი პირმეტყველისა არ იყოს, იმათაც თვალწინ ედგათ ცვრიანი ბალახი, ტყისშიგნითა ველობზე რომ ეგულებოდათ.





# აწ მოდით, ნახეთ, როგორ არის გაოხრებული, ეს რა გარდაგვხვდა ძნელი საქმე, ეშმაკ-ქაჯური

სტეფანე ფერშანგიშვილი
(თბილისის აოხრებაზე თქმული 1795 წელს)

ანა კალანდაძე

რომაელ პოლიტიკურ მოღვაწეს, კატილინას, განუზრახავს რომის დაწვა, მაგრამ ციცერონის მიერ შერცხვენილს, განზრახვაზე ხელი აუღია და ქალაქიდან გადახვეწილა...

მძვინვარებს ცეცხლი, ზუზუნებს ტყვია,
წუთითაც ველარ „იშვებს ტირილი".
მოარღვევ ღამის დაცხრილულ წყვდიადს,
ნუთუ...
შენა ხარ ეს კატალინა?
შენ ხარ, რომელმაც ველარ იხილე
მარადიული რომის ხანძარი?
დაგწყევლა მოდგმამ,
თუმც შეინანე,
თუმც რომის დაწვა
ვერ მოასწარი!
უმზერ... თბილისის შენ ცეცხლის სვეტებს,
არაკაციც რომ შეგძრა და გოდებ:
— მადლობა ღმერთებს,
რომ ამაშორეს ასეთი ცოდვა!





